პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

ყოველდღიური გაზეთი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

22 იანვარი კვირა

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4 რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერთო №

№ 17 კვირა, 22 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 22 იანვარი 1922 წ. № 17

# ხვალ, საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში გაიხსნება საქ. კომ. პარტიის ყრილობა.

ერთი წლის წინეთ მხეცურათ დევნილი, ბრძოლის ველებზე სისხლგაღებული, რეაქციონური დემოკრატიის მიერ ციხეებში ჩაყრილი, ან გაუთავებელი ეტაპებით მშრომელთა საქართველოს საზღვრებს იქით გადატყორცნილი პარტია

## დღეს საბჭოთა რესპუბლიკის მმართველი პარტიაა.

ათი თვეა ის შრომობს და იბრძვის მშრომელთა მასსებთან ერთად ბრძოლით მოპოვებულ სოციალისტური სამშობლოს ასაღორძინებლათ, მისი ჭრილობების მოსაშუშებლათ.

დღეს ის იკრიბება თავის პირველ თავისუფალ ყრილობაზე, რათა ასწონ-დასწონოს შედეგები, გამოასწოროს აუცილებელი შეცდომები და ნათელი წარმოდგენით მორიგ საკითხ-ამოცანებზე დაუბრუნდეს მასსებს და განაგრძოს მუშაობა და ბრძოლა.

# სალამი ამხ. დელეგატებს!

## გაუმარჯოს მათ ყრილობას! გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

## პარტიულ ყრილობის დელეგატების საყურადღებოთ

პარტიული ყრილობის საზეიმო გახსნა მოხდება 23 იანვარს შოთა რუსთაველის თეატრის დარბაზში (ყოფილი არტისტიული საზოგადოება), საღამოს 6 საათზე

პარტიული ყრილობის ყველა დელეგატები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საქართველოს კომუნისტურ პარტიის აღმრიცხავ-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში, მანდატების მისაღებათ და ანკეტების შესავსებათ. დელეგატები, ჩამოსულნი 23 იანვრის შემდეგ, მიიღებენ მანდატებს ყრილობის შენობაში.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ორახელაშვილი.

## სალამი პარტიულ ყრილობას!

ხვალ გაიხსნება მშრომელი მასსების ბედიღბალის გამომჭედის, საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ლეგალური ყრილობა.

უკვე თერთმეტი თვე სრულდება, რაც ის მართველი პარტიაა, რაც ის მუშურ გლეხურ სახელმწიფოს სათავეშია მოქცეული და დაუღალავი ენერგიით თავდადებულათ ეწევა პროლეტარულ—კომუნისტურ აღმშენებლობითი მუშაობას.

კომუნისტურ პარტიას, დღიდან თავის დაარსებისა საქართველოში, ერთხელაც არ ქონებია საშუალება და შეძლება შეკრებილიყო ლეგალურათ, თავისუფლად და ემსჯელა დამშვიდებით თავის ნამოქმედარსა და მომავალი სამოქმედო ხაზის გამომუშავებაზე. მისი წევრების უმრავლესობა, თითქმის მუდამ ციხეებში იყო დამწყვდეული და მოკლებული იყო შეძლებას მიეღო მხურვალე და აქტიური უშუალო მონაწილეობა პარტიულ მუშაობაში.

მართალია მის ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც პარტიას ეძლეოდა საშუალება ვითომდა ლეგალურათ არსებობის და მუშაობის (საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულობის ძალით), მაგრამ მისი ეს „ლეგალიზაცია“ უფრო მახე იყო მენშევიკების მიერ დაგებული, ვიდრე ჭეშმარიტად ნამდვილი ლეგალიზაცია. მენშევიკებმა მართლაც რომ მოხერხებულათ გამოიყენეს ის და რამდენიმეთ თითქმის კიდევაც მიაღწიეს თავიანთ გამცემლურ მიზანს: სისხლისაგან დაწრიტეს საქართველოს კომუნისტური პარტია, დაშალეს და დაანგრიეს ყველა მისი ლეგალური ორგანიზაციები და წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო მეტად გაჭედეს და აავსეს ციხეები რევოლიუციონურ მუშათა კლასის ნაღებით, — მუშა კომუნისტებით.

და ეს არც გასაკვირი იყო. არ შეიძლებოდა და საზოგადოთ არ შეიძლება კომუნისტურ პარტიის ნამდვილათ ლეგალური არსებობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, იმ სახელმწიფოში, რომლის დასანგრევათ და დასამხობათ მოწოდებულია ის. ამას მოწმობს კომუნისტური პარტიების მუშაობის წარსული და აწმყო ისტორია ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მენშევიკური სახელმწიფოც რასაკვირველია არსებითად გამონაკლისს არ შეადგენდა.

მაგრამ ბოლო მოეღო მენშევიკების ბატონობასაც. 25 თებერვალს 1921 წ. მათი მთავრობა დამხობილ იქნა და სახელმწიფო ძალაუფლება ხელში აიღო მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველმა და მისმა ერთად ერთმა ჭეშმარიტმა წარმომადგენელმა კომუნისტურმა პარტიამ.

აქედან მოკიდებული ის დაუღალავათ მუშაობს ჩვენი მუშურ-გლეხური სამშობლოს ასაღორძინებლათ და ასაყვავებლათ. მაგრამ ამისათვის ის საჭიროებს უპირველესათ ყოვლისა თავის თავის გამაგრებას და გაძლიერებას, ამ პასუხისმგებელ მომენტში მის წინაშე წამოჭრილ მეტად მნიშვნელოვან ამოცანებისა და საკითხების გარჩევა-გარკვევას და დღევანდელ სინამდვილესთან სისწორით გადაჭრას.

ამიტომაცაა, რომ ეს მუშათა პარტია იკრიბება დღეს თავის ყრილობაზე, ყრილობაზე, რომელიც არის პირველი არა მარტო ლეგალური, არამედ არსებითათაც. ის ჩაუყრის დღეს მტკიცე, შეურყეველ საფუძველს ჩვენს კომუნისტურ პარტიას და მით გაამაგრებს აგრეთვე საქართველოს მშრომელთა ნორჩ რესპუბლიკასაც.

ის მოიხედავს უკან თავის წარსულ ნამოქმედარისაკენ, თუ რა გააკეთა მან იმ მოკლე ხნის, 10 ნახ. თვის განმავლობაში, როდესაც მას შეძლება მიეცა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობისათვის, გაუკეთებს მას ერთგვარ ჯამს და გამოუმუშავებს პარტიას სწორ გზას მის წინაშე დასახულ ამოცანების ცხოვრებაში შეურყევლათ გატარებისათვის.

ჩვენ მივესალმებით პარტიის ამ პირველ ლეგალურ ყრილობას და გამოვსთქვამთ იმედს, რომ ის ნაყოფიერათ ჩაატარებს თავის საპასუხისმგებლო მუშაობას.

## ცხრა იანვარი

### (1905—1922)

რუსეთის ცარიზმის შავბნელ ისტორიას ახსოვს ბევრი ჯალათური მომენტები, უფრო დამახასიათებელი ვინემ ის, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთის „მოგროვების“ ისტორიის მთელ მანძილზე უკვე თავის თავად მისთვის „ნორმალურ“ რეჟიმათ მიჩნეული სისტემა ჯალათობის. მისი წარსული სავსეა პატარა ერების წამებით, მისი ძალადობის ქვეშ მოქცეულ ხალხთა, მათ შორის თვით „მპყრობელი ერის“, მშრომელთა მასების აწიოკებით, გლეხკაცობის აოხრებით და განადგურებით... მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო „უკუნითი უკუნისამდე“. რუსეთის სინამდვილეს უნდა წარმოეშვა შურის მაძიებელი მონობაზე და ძალმომრეობაზე აგებული რეჟიმის დასანგრევათ და მის დიდ და პატარა გვირგვინოსან მატარებელთა დასასჯელათ. ასეთი იყო მშრომელი მასები ყველა ერების, რომლებიც ჩაკეტილი იყვნენ ხალხთა საპყრობილეთ წოდებულ რომანოვების იმპერიის ფარგლებში. ამ მშრომელელებს უნდა ეკისრათ დიადი, განუზომელი ისტორიული მნიშვნელობის საქმე ამ საპყრობილის დანგრევის, დამონებულთა განთავისუფლების შიგნით და საერთაშორისო ჟანდარმის გავლენის მოსპობის გარეთ. რუსეთის შინაურმა ეკონომიურმა განვითარებამ შექმნა ობიექტიური პირობები სოციალური გარდაქმნის და ძალები მომავალის. დასაწყისში ერთეულები, შემდეგ მოწინავე ჯგუფები, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ სულთამხუთავის წინააღმდეგ. დიდი დრო იყო საჭირო, რომ მასიურათ ამოძრავებულიყვნენ ის ძალები, რომლებსაც მხოლოდ შეეძლოთ ბოლომდი მიეყვანათ დაწყებული ბრძოლა თავისუფლებისათვის და საბოლოო გამარჯვებით დაეგვირგვინებიათ ეს ბრძოლა. მაგრამ ადვილი არ იყო მონობის ისტორიის სიგრძეზე აღზრდილი ფართო მასების აქტიურ რევოლიუციონურ გზაზე გამოყვანა იქ, სადაც ეს მასები, პოეტის სიტყვით რომ ვსთქვათ, „согнувши вью, молились за царя“. ცხადია ასეთ პირობებში ხალხმა ძალაუნებურათ უნდა გაიღოს თავის საბოლოო აუცილებელი განთავისუფლებისათვის საჭირო მსხვერპლი, რადგან საჭიროა ისტორიული საქმის გაკეთება, ხოლო დიდი ისტორიული კითხვები სწყდება ოტტო ფონ ბისმარკის ცნობილი სიტყვები რომ გავიმეორეთ „არა რეზოლიუციებით, არამედ სისხლითა და რკინით“. ხოლო „სისხლითა და რკინით“ გაღებული მსხვერპლი შეიძლება იყოს შეგნებული და შეუგნებელი. შავბნელი ისტორიული ცხოვრებით წარმოდგარი სიბნელე დაბეჩავებული მასების, პოლიტიკური შეუგნებლობა მათ დაუსჯელად არ თავდება. თუ მათი ჩამორჩენილობის მიზეზები ჩამარხულია უკუღმართი სინამდვილის პირობებში და მათ არ მიუძღვით ამაში ობიექტიურათ დანაშაული, მაგიერათ ისინი ზიდავენ სუბიექტიურათ მთელ სიმძიმეს თავის ჩამორჩენილობის ყველა შედეგებისას. ასეთი იყო ის მსხვერპლიც, რომელიც გაიღო პეტერბურგის მშრომელთა მასებმა ამ თექვსმეტი წლის წინათ, ცხრა იანვარს, შესულს ისტორიაში სახელწოდებით „სისხლიანი კვირა“.

ამ დღეს პეტერბურგის მშრომელთა მასები ქალაქის ყველა რაიონებიდან ხატებით და მეფის სურათებით ხელში, მღვდელი გაპონის წინამძღოლობით, გაემართნენ მეფის სასახლისკენ „სიმართლის საძებნათ“ და ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ჩვენ შეგვ ძლია ვსთქვათ, რომ მათ მართლაც ჰპოვეს დაბოლოს ეს სიმართლე. მეფის მიერ ხალხის ხარჯზე დაქირავებულმა ჯალათებმა ტყვიის ფრქვევლებით უპასუხეს მეფისადმი აქამდი ნდობით გამსჭვალულ ჩამორჩენილ ნაწილს მასებისას, ტყვიით დაცხრილეს პროცესიის რიგები და სისხლის ტბა დააყენეს ქალაქის ფართო ქუჩებში. სწორეთ ამ საშინელ ტრაგედიაში იშვა სიმართლე, რომელიც ლაღადებდა, რომ მშრომელების ხსნა შეუძლია არა მათ ჯალათებს, არამედ მათმა განთავისუფლების გზამ უნდა გადაიაროს სწორედ ამ ჯალათების ცხედრებზე, მათ საფლავებზე. „სისხლიან კვირას“, 1905 წლის ცხრა იანვარს, მეფის ბრძანებით დახვრიტეს შრომის შვილნი და მათთან ერთათ დაიხვრიტა და შავ ისტორიას ჩაბარდა შეუგნებელი მასების ნდობა ჯალათებისადმი.

დრომ განვლო. ხალხმა შური იძია ცხრა იანვრის ჯალათებზე. ის, რაც ვერ მოახერხა რუსეთის პირველმა რევოლიუციამ, რომელმაც იფეთქა იანვრის დღეების შემდეგ, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო მეორე რევოლიუციის პირველ დღეებმა, საბოლოოთ მოხერხდა დიდი ოქტომბრის დღეებში, 1917 წ. მშრომელმა ხალხმა პროლეტარიატის მეთაურობითა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიის უფსკრულს მისცა ფეოდალურ-ბურჟუაზიული კლასები რუსეთის და შეუდგა ახალი ცხოვრების აღმშენებლობას.

რევოლიუციონური პროლეტარიატი მოწიწებით იგონებს დღეს ძველი რეჟიმისა და კლასიური სიბნელის მსხვერპლებს 9 იანვრისას და განაგრძობს მსვლელობას თავის საბოლოო გამარჯვებისკენ.

## წითელი პრესა

**ფრანგული დიპლომატია.**

„პრავდა“ (№ 2) მოწინავეში აღნიშნავს რა საფრანგეთის სურვილს, წინადადება მისცეს რუსეთს აიღოს გერმანიიდან კონტრიბუცია, რათა გადაუხადოს ანტანტას ვალები, სწერს თუ რითაა ეს გამოწვეული და რა მართებს ამ შემთხვევაში გერმანიას:

„ანტანტის მოხერხებულ აგენტებს სურთ ერთ და იმავე დროს ორი კურდღელი მოკლან უცბათ: ერთი მხრით მათ სურთ ჩამოაგდონ შური და მტრობა გერმანიასა და რუსეთს შორის, რათა შეუძლებელი გახადონ რაიმე დახმარება რუსეთისათვის ამ ინდუსტრიულ ქვეყნიდან. მეორე მხრით კი მათ სურთ სახელი გაუტეხონ საბჭოთა რუსეთს გერმანიის პროლეტარიატის თვალში. ვინაიდან, თუ რუსეთი თანამონაწილე გახდება ვერსალის ხელშეკრულების, რომელიც ეზიზღება გერმანიის მთელ მუშათა კლასს, მაშინ, თავისთავად ცხადია, საბჭოთა რუსეთის პრესტიჟს დიდი ლახვარი ექნება ჩაცხებული.

იმავე დროს საფრანგეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ რუსეთის მიერ ამ წინადადების **შიშველი უარყოფა** გამოიწვევს უკმაყოფილებას რუსეთის დამშეულ მცხოვრებლებში, რომლებიც დაინახავენ ვითომდა იმას, რომ ჩვენ არ გვსურს ავიღოთ ის, რასაც ჩვენდამი კეთილად განწყობილი მშვენიერი ანტანტა გვაძლევს.

ასეთ პირობებში მეტის-მეტად ბევრი რამაა დამოკიდებული თვით გერმანიაზე. ანტანტის ბარიერებით ყოველ მხრიდან ჩაკეტილი გერმანია უნდა მივიდეს მოვლენათა მსვლელობის გამო საბჭოთა რუსეთისათვის მთელ რიგ დათმობათა აუცილებლობამდე, რომლებიც ბოლოს და ბოლოს სასარგებლო იქნება თვით მისთვისაც...

ამავე დროს საერთაშორისო მდგომარეობის დახლართული კვანძი,—რაც ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს,—აყენებს პროლეტარულ რუსეთს მსოფლიო პოლიტიკის ერთ მნიშვნელოვან ფაქტორთაგანათ; ურთიერთ დამოკიდებულება გამარჯვებულ და დამარცხებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის და აგრეთვე თვით გამარჯვებულთა შორისაც, ისეთია, რომ რუსეთის როლი ავტომატიურათ იზრდება და გაიზრდება მომავალშიაც აუცილებლათ. ამაშია ერთი გარანტიათაგანი ჩვენი მდგომარეობის სიმტკიცისა და ჩვენი წარმატებისა სრული სამეურნეო გაჯანსაღების გზაზე“.

* *
*

**„ეს არ იქნება“.**

მოსკოვის „იზვესტიაში“ ამხ. ი. სტეკლოვი ეხება ანტანტის მიერ საბჭოთა რუსეთის აღიარების საკითხს და სწერს:

„სწარმოებს ნიადაგის სინჯვა ჩვენი სურვილებისა და ინტერესებისადმი ყურადღების მიუქცევლათ. თანხმდებიან კულისებში ჩვენს ხარჯზე და ინაწილებენ ჩვენს ტყავს ფინანსისტებისა და დიპლომატების თათბირებზე,—მოკლეთ, ფიქრობენ ჩვენი ბედის გადაჭრას თავიანთ ქეიფზე.

ეს არ იქნება!—აი რას ვურჩევთ ჩვენ, კარგათ დაიმახსოვრონ ყველა პროექტორებმა, გადამწყვეტი ხმა გვექნება ჩვენ და მხოლოდ ჩვენ. მით უარესი მისთვის. ვინც ამას ვერ გაიგებს: მეტოქეები ალბად გადაახტებიან ამას.

დიე, ჩვენმა მომავალმა კონტრ-აგენტებმა და მათ პატიოსანმა მაკლერებმა გამოიმუშავონ და დაამზადონ რა პირობებიც არ სურთ. თუ ეს პირობები ჩვენთვის შეუფერებელი იქნება, უარვყოფთ მათ უყოყმანოთ ჩვენ მტკიცეთ დავიცავთ ჩვენს ინტერესებს მაშინაც კი, თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოები გამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ მჭიდრო ერთიანი ფრონტით. მაგრამ ეს ნამდვილად არაა ასე. ისინი ვერ არიან სოლიდარულად ერთი მეორესთან, მათი ინტერესები საწინააღმდეგოა. თითოეული მათგანი ბუნებრივათ ფიქრობს მხოლოდ თავისთვის და მზადაა ცოცხლად გადაყლაპოს არა მარტო მოწინააღმდეგე, არამედ მეზობლებიც კი. და ჩვენც სავსებით ვისარგებლებთ კაპიტალისტურ ინტერესების წინააღმდეგობებით და არავის არ მივცემთ ნებას იურიდიულად აღიარების საბაბად ჩამოაცვან საბჭოთა რუსეთს დასახრჩობი რგოლი“.

* *
*

**ევროპის მეურნეობის აღსადგენათ.**

პარიზში გაიხსნა ექსპერტების თათბირი, რომელმაც საჭიროთ ცნო ევროპის მეურნეობის აღსადგენათ კაპიტალისტების საერთაშორისო საზოგადოების დაარსება 20 მილიონი თანხით. უმთ ვრეს წევრებათ იქნებიან კაპიტალისტები: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და გერმანიის, მაგრამ დაუშვებენ აგრეთვე იაპონიის კაპიტალისტებსაც.

ამ საზოგადოებამ ხელი უნდა მოკიდოს **აღმოსავლეთ ევროპის (ე. ი. რუსეთის)** რკინის გზების, ნავთსადგურების, ფაბრიკების და ქარხნების აღდგენის საქმეს. ამის შესახებ „ბედნოტა“ № 1119 სწერს:

„რა ზრუნვაა, იფიქრებ!

მაგრამ მიიწვიეს რუსეთი მისი მეურნეობის აღდგენის საშუალებათა გარჩევაში მონაწილეობის მისაღებათ? არა, „უჩემოთ ჯვარი დამწერეს მე“. ბ-ნნი კაპიტალისტები და მათი მინისტრები ფიქრობენ რუსეთის მეურნეობის „აღდგენას“ რუსეთის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ სამაგიეროთ ამ აღდგენაში მონაწილეობის მისაღებათ იწვევენ **იაპონიას**, სწორეთ იმ იაპონიას, რომელიც ახლა შეუდგა აღმოსავლეთ ციმბირის „აღდგენას“ ცეცხლითა და მახვილით.

ექსპერტების თათბირზე აღიარებულ იქნა, რომ **ევროპის ხავაჭრო კრიზისის მოსპობა და მსოფლიო მეურნეობის აღდგენა შეუძლებელია რუსეთის მოსახმარ და საწარმოვო ბაზრის გარეშე.**

აი ჭეშმარიტი მიზეზი უცხოეთის კაპიტალისტების ზრუნვისა რუსეთის შესახებ. **რუსეთის ნედლი მასალის, და მომავალში, პურის გარეშე—არსებობა შეუძლებელია.** ხოლო თუ რუსეთი თავისი სიმდიდრით აუცილებელი საჭიროა, მაშინ რაღა საჭიროა გვერდზე მიმალვა და მისი ზურგის უკან გეგმების შედგენა“.

## თეთრგვარდიელთა პრესა

**თეთრგვარდიელთა ფრონტი თანდათან იშლება**

თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დაშლა უცხოეთში, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლთა რიცხვის თანდათანი შემცირება საგონებელში აგდებს ამ რეჟიმთან იარაღით ბრძოლაზე მეოცნებე ელემენტებს და შავი „სამგლოვიარო მარშის“ ხმაზე ამღერებს მათ ორგანოებს. ისინი დასტირიან არა მარტო მათ ვინც ბოლშევიკებთან „საბედისწერო ბრძოლაში დაეცნენ“ გაშლილ ფრონტებზე, მათ სატირლათ უხდება ისინიც, ვინც დღეს ეცემიან, მათი აზრით ზნეობრივათ, პოლიტიკურათ, მოწყვეტილნი რუსეთის სინამდვილეს და გარდახვეწილნი საზღვარგარეთ. ერთი იმ ჯგუფთაგანი, რომელიც, რამდენადაც დაეჯერება, ხელს იღებს აქტიურ ბრძოლაზე რევოლიუციის წინააღმდეგ, არის ჩერნოვის ჯგუფი. ჩერნოვმა კიდევ შარშან ზაფხულზე განაცხადა, რომ მისი პარტია, კიდევაც რომ მოექცეს სათავეში სახელმწიფოს ვერ შესძლებს შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამ უკანასკნელს დაეპატრონება შეძდეგ ბურჟუაზია. ასეთი იყო ის საქმე გაბედულებით გაკეთებული განცხადება, რომლითაც

# საბჭოთა საქართველოში

## აჭარისტანში

დეკრეტი აჭარის ავტ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი, 17 იანვარი 1922 წ.

§ 1. თანახმად სრულიად აჭარის ღარიბ ხალხის საბჭოსი და ც. აღმასკომის დადგენილებისა, ავტონომიურ აჭარის სახელმწიფოებრივ ენად აღიარებულია ქართული ენა.

§ 2. ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებათ (გარდა რუსეთის წითელ არმიის ნაწილებისა) ევალებათ დაუყონებლივ შემოიღონ საქმის წარმოება და მიწერ მოწერა ქართულ ენაზე.

§ 3. ამ დეკრების შესაფერისად განხორციელებისათვის საქმეთა მმართველებად, მდივნებად, კანცელარიის მოხელეებად, უფრო ადრე კი დაწესებულებათა უმაღლეს ხელმძღვანელებად უნდა ინიშნებოდნენ ქართული ენის მცოდნენი.

დედანს ხელს აწერენ: სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე ქართარაძე და საქმეთა მმართველი—ა. შენგელია.

---

ის გამოვიდა ერთ დროს საზღვარგარეთ. როგორც სჩანს იმ ცნობებიდან რომლებიც ჩვენამდი აღწევს, მას საბოლოო დასკვნა გამოუყვანია ასეთი შეხედულებიდან. საზღვარგარეთულ რუსულ გაზეთებში მოთავსებულია მისივე განცხადება, რომელიც ინტერვიუს სახით დაბეჭდილია გაზეთ „პრაგერ პრესს“-ში. „დღეს—ამბობს ვ. ჩერნოვი—მხოლოდ სულელს შეუძლია იჩქაროს ძალაუფლების დასაპყრობათ რუსეთში. ამიტომ ესერები, ამბობენ რა უარს საპასუხისმგებლო ადგილების დაჭერაზე სახელმწიფოში, უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ არ ვიცით თუ ვინ შესთავაზა ჩერნოვს ასეთი ადგილები. (მეპრესე), ხმარობს რა მთელ თავის ძალებს მასების პოლიტიკურათ და ეკონომიურათ შესაკავშირებლად, ეცდებიან მთელი თავისი ენერგიით გამოააშკარავონ ბალშევიზმის ჭეშმარიტი ბუნება“. ამ განცხადებას გამოყავს მოთმინებიდან რენეგატი ბურცევი, რომელიც თავის შავრაზმულ გაზეთის „Общее Дело“-ს მეთაურში, ეხება რა ჩერნოვის ინტე- [illegible] რებლათ“. ეს განცხადება თუ შემთხვევითი არ არის, ის ნიშნავს ბალშევიკების წინააღმდეგ უშუალო ბრძოლაზე ხელის აღებას. პრაქტიკულათ ეს წინადადება მოასწავებს—ხანგრძლივ პროპაგანდას სოფლებში, ჩარევას კოოპერატივებში და რამოდენიმე სხვა დაწესებულებებში. ეს ნიშნავს ამას, რომ ესერების პარტიამ, რამდენადაც ის გაჰყვება ჩერნოვს, უნდა უარი სთქვას რევოლიუციონური (!) ბრძოლის მეთოდებზე და შეუდგეს „კულტურ-ტრეგერობას“. ჩერნოვი ძალიან ცოტათი კმაყოფილდება: ის იტოვებს მხოლოდ უფლებას გამოააშკარავოს ჭეშმარიტი ბუნება ბალშევიკური ცრუ კონსტიტუციონალიზმის და შექმნას ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმი“. და ერთი სიტყვით ესერებმა უნდა მოიკრიბონ მოთმინება და იცადონ.

ეს ამბავი, რასაკვირველია, არ არის ძალიან სასიამოვნო ბურცევისათვის, მაგრამ იმავე დროს არც აკვირვებს მას, რადგან მისდა სავალალოთ;

„ლონდონის ასეთი ფსიქოლოგია დამახასიათებელი შეიქნა არა მარტო ესერებისათვის, მას ითვისებს უკანასკნელ ხანებში საქმიანი ბურჟუაზიაც კი, რომელიც უარს არ ამბობს სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს ბოლშევიკებთან და კონცესიებში მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ ეს ბურჟუაზია არც იბრძოდა არასოდეს. ის ყოველთვის პასიური იყო და... უცდიდა. ხოლო [illegible] სწორეთ ეს არის მიზეზი მათი შფოთვის.

* *

**„სტინნესი არ შეადგენს გამონაკლისს“**

მარტო ყოფილი „აქტივისტების“ „ღალატით“ არ ამოიწურება სავალალო საქმეები საზღვარ გარეთელ თეთრგვარდიელების. „სახლაფორთო“ შეიქნა მათთვის კაპიტალისტური სახელმწიფოების და სავაჭრო-სამრეწველო წრეების მიდრეკილება სამეურნეო ურთიერთობის დასამყარებლად საბჭოთა რესპუბლიკებთან. „Общее дело“-ს მოჰყავს ბერლინელ თეთრგვარდიელების გაზეთ „Голос России“-ს წერილი სათაურით „სახიფათო გზა“, სადაც ნათქვამია სხვათა შორის:

„დაახლოება საბჭოთა რუსეთთან სულ თანდათან მოდათ ხდება გერმანიაში. რუსეთ-გერმანიის საზოგადოებანი, სამრეწველო კონცესიები, სასოფლო-სამეურნეო კონცესიები, ხმები მილიარდებათ ღირებული შეკვეთების შესახებ, სადილები კრემლში, ურთიერთ-შორის მისალმებანი ბერლინში, კრასინი და სტინნესი, კრასინი და ინგლისელები ლაპარაკობენ ბევრს ეკონომიური თემებზე, პოლიტიკურზედაც და კიდევ ისეთებზე, რომლების შესახებ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ დაიწყებდნენ ლაპარაკს გერმანიის რესპუბლიკაში. ბარონ მალცანის შემდეგ, რომელიც გამოვიდა „ფოსის გაზეთში“ თავისებური პროგრამით რუსეთ-გერმანიის პოლიტიკური დაახლოების შესახებ, სცენაზე გამოვიდნენ უფრო ფრთხილი და უფრო სერიოზული მქადაგებელნი ამ დაახლოების. „ფრანკფურტის გაზეთი“ ბეჭდავს „რუსულ წერილების“ მთელ სერიას რომელიღაც კორესპონდენტისას მოსკოვიდან, რომელიც (კორესპონდენტი), როგორც ეტყობა, კარგათ უნდა იცნობდეს რუსეთის საგარეო პოლიტიკას. კორესპონდენტი ლაპარაკობს საბჭოთა მეთაურების „ღრმა პაციფიზმზე“..

ჩვენ არ შეგვიძლია არ დავსვათ კითხვა: მისცემს თუ არა გერმანიის დემოკრატია ნებას იმ დიპლომატებს და „საქმის ხალხს“, რომლებმაც ერთხელ უკვე ჩააყენეს გერმანიის ხალხი საშინელ მდგომარეობაში—განიმეორონ იგივე საბედისწერო ცდა დაახლოებისა იმ მთავრობასთან, რომელიც ემაგება ხალხს? ჩვენ გულწრფელათ გვგონია, რომ ეს გზა სახიფათოა“.

„ჩვენ მოხარული ვიქნებოდით—ამბობს ამ ამონაწერის შემდეგ „Общее дело“,—რომ ეს სწორი შენიშვნები გავლენას მოახდენდეს გერმანელებზე. **სამწუხაროთ რუსეთის პოლიტიკაში სტინნესი არ შეადგენს გამონაკლისს, ის საერთო მოვლენაა“-ო.**

ეს გამოსვლები თეთრგვარდიელების ნათლათ მოწმობენ, თუ რა აწუხებს ამ ხალხს. დაახლოება გერმანიის რუსეთთან, გარდა იმისა რომ ჯვარს დაუსვამდა მათ „უაზრო ოცნებებს“ მომავალში, არაფერს სახეიროს არ უქადის მათ აწმყოშიაც, რადგან ეს დაახლოება უკანასკნელ საშუალებას მოუსპობს მათ [illegible] და აწყოს პროვოკაციული გამოსვლები ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

# საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის გახსნა დანიშნულია 1922 წლის 23 იანვრისათვის.

**ყრილობის დღის წესრიგი:**

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხ. ამხ. ს. ქავთარაძე.

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხ. ამხ მამია ორახელაშვილი.

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა, წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერთან—მომხს. ამხ. ნაზარეტიანი.

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხს. ამხ. ტოროშელიძე.

5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში მომხსენებელი ამხ. ფილიპე მახარაძე.

6) კოოპერაცია—მომხს. ამხ. მიხეილ ოკუჯავა

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხს. ამხ. ერქომაიშვილი,

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში მომხსენებელი ამხ. ბ. მდივანი.

9 ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხს. ამხ. ორახელაშვილი.

10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხს. ამხ. დონენკო.

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ ქავთარაძე.

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

საქ. კომ. პარტ. ც. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

**სოციალურ დაზღვევის წარმოების წესი.**

მოსკოვი, 18 იანვარი, (რადიო). 1921 წლის 15 ნოემბრის დეკრეტი [illegible] მოუშავებულია და ერთდროულათ მასთან იგზავნება ყველა საჭირო მასალები, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ სოციალურ უზრუნველყოფის წინაშე მდგარ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას. ამასთან სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი საჭიროდ სთვლის მიუთითოს შემდეგზე: 1) პირველ რიგში უნდა შემოღებულ იქნას სოციალური დაზღვევა უმუშევრობის, დავრდომილობის და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის წევრები ჰკარგავენ მარჩენალს. ამ სახის დაზღვევისათვის საჭირო გადასახადების შეტანა უნდა [illegible] ლებისთანავე საგუბერნიო ცენტრის მიერ უნდა გამოცემულ იქნას საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და სამაზრო ცენტრებში, სამაზრო აღმასკომის სახელით სავალდებულო დადგენილება რომლის თანახმად ყველა წარმოებები, დაწესებულებები და მეურნეობები, როგორც კერძო, საიჯარო და საკონცესიონერო ისე სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებები, რომლებიც სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, ვალდებული არიან ერთი კვირის განმავლობაში მიიღონ სახალხო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის განყოფილებისაგან სპეციალური ბლანკები ცნობების შესავსებათ. აღნიშნულ ვადაში რეგისტრაციაში გაუტარებელი პირები იქნებიან ცნობილი, როგორც სოციალურ დაზღვევის დე- [illegible] იქნას ქალაქში. რეგისტრაციის ვადის გათავების შემდეგ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი მოახდენს გასინჯვას—არი თუ არა ყველა წარმოებები გატარებული რეგისტრაციაში. ასეთი გასინჯვა შესძლებს მოგვცემს აღმოვაჩინოთ ის წარმოებები, რომლებიც გაურბის თავის ვალდებულებას. 3) წარმოებების მიერ წარმოდგენილი ცნობები გადაეცემიან სათანადო რაიონების შრომის ინსპექტორებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მათგან ცნობების მიღების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში დაადვას გადასახადები რეგისტრაციაში გატარებულ წარმოებებს და დაჰყონ ისინი სათანადო ხარისხებად წარმოების ტეხნიკური და სანიტარული მდგომარეობის განსაკუთრებული თვისებების მიხედვით, რომლებიც უნდა გახდნენ საფუძვლებად [illegible] საყრელ პირობების გამო. ამასთან ერთად სახალხო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი აფრთხილებს ადგილობრივ ორგანოებს ზედმეტ რეპრესიულ მომატებულ ტარიფების შემოღებას, რადგანაც ეხლანდელ პირობებში წარმოებების დიდი უმრავლესობა იმყოფება არა ხელსაყრელ შრომის პირობებში. რეპრესიული ტარიფი უნდა დაედოს მხოლოდ იმ წარმოებებს, რომლებშიაც აღმოჩნ-

# კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

## კოოპერაციის შესახებ

**(ამხ. ხინჩუკის მოხსენება)**

ამხანაგებო! ჩვენ რომ მივიღოთ პასუხი იმ კითხვაზე, თუ რა როლი აქვს მომხმარებელთა კოოპერაციამ თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, თქვენი ყურადღება რამდენიმედ უნდა შეჩერდეს იმ კითხვებზე, რომელნიც არსებითად არ არიან პრინციპიალური და აუცილებელნი, მაგრამ მათი ცოდნა აუცილებელია, რომ მივიღოთ პრინციპიალური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

რას წარმოადგენს მომხმარებელთა კოოპერაციის აპარატი 7 აპრილის დეკრეტის გამოცემის შემდეგ. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სასურსათო გაწერის ხანაში კოოპერაციის აპარატი თანდათან იკუმშებოდა, პატარავდებოდა და თითქმის არავითარ მომარაგებითი მუშაობას არ აწარმოებდა. სრულიად ბუნებრივია, რომ მან მიიღო, შეითვისა ჩვეულებრივი ბიუროკრატიულ აპარატების ნაკლულევანებანი.

თქვენ ყველამ იცით, რომ კოოპერატიული აპარატიც არსებობდა ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით, იღებდა თავის მუშაობისათვის სახელმწიფოებრივ წყაროებიდან განსაზღვრულ ფინანსიურ დახმარებას. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ნიადაგზე, როცა ფაქტიურად ყაირათობით (ეკონომიით) დაინტერესება არ იყო, კოოპერატიული აპარატი იყო ბიუროკრატიული, რომელიც შესდგებოდა 92 საგუბერნიო კავშირისაგან, 680 სარაიონო განყოფილებებიდან, 18,000 მრავალ დუქნებიდან (МНОГО ЛАВОК) და 51 თუ 53 ათას განმანაწილებელ პუნქტებისაგან, მაგრამ მთელ ამ აპარატს არ შეეძლო ეწარმოებია მთელი ის სავაჭრო მუშაობა, რომელიც კოოპერაციას დაავალა 7 აპრილის დეკრეტმა. ამ ჟამად ჩვენ გვაქვს საკმარისად სწორი ცნობები მომხმარებელთა კოოპერაციის აპარატის შესახებ უახლოეს თვეების ანკეტების მიხედვით.

ჩვენ სრულიად არ შევეხეთ ყველა იმ აპარატებს, რომელნიც ვაჭრობის მხრივ საკმაოდ ვერ მოქმედებენ. ჩვენ მივიღეთ მხედველობაში მხოლოდ ის აპარატი, რომელიც ჩნდება სახელმწიფოებრივ საქონლის გაცვლისა და მომარაგების სისრულეში მოსაყვანად მუშაობაში, და რომელიც იჩენს საკმაო ცხოველმყოფობას. აქ ჩვენ გვაქვს 9977 მრავალ-დუქნიანი, ამას თუ მივუმატებთ უკანასკნელ დროის რაიონულ განყოფილებათა დიდ რაოდენობას, რომელნიც 680-დან გაიზარდნენ 704-მდე და კიდევ მივუმატებთ 1500 სპეციალურ საქონლის გასაცვლელ პუნქტებს, მაშინ ჩვენ გვექნება 12 ათასი ორგანიზაციული ერთეული; ვინაიდან აქ არიან მრავალ დუქნები, რომელთაც აქვთ ორ-ორი, სამ-სამი, ეგრედ წოდებული, საქონლის გაცემის და გაყიდვის პუნქტები, ამიტომ ჩვენ მივიღებთ 15 ათასამდე მუშაობის უნარის მქონე ერთეულებს ანუ საქონლის გაცემისა და გაყიდვის პუნქტებს. აი ის აპარატი, რომლითაც ჩვენ ეხლა ფაქტიურად ვმუშაობთ. აქნამდის ქაღალდზე ჩვენ გვქონდა ბევრი, მაგრამ ფაქტიურად კი ჩვენ გვქონდა, გაცილებით ნაკლები აპარატი. ცენტრში აპარატი იყო აგრეთვე დიდი და მძიმე, როგორც თითქმის თვითეული სახალხო კომისარიატი ჩვენ გვქონდა აპარატი, რომელშიაც თითქმის 7000 კაცი შედიოდა, ბუნებრივია, რომ მასში სრულებით არ იყო მოქნილობა და სავაჭრო ელასტობა. და ჩვენ პირველად, ჯერ კიდევ დეკრეტის გამოცემამდე, უფრო ადრე, ვიდრე ყველა სახალხო კომისარიატები, შევუდექით მის შემცირებას, პირველად 40 პროც. და შემდეგ კიდევ 10 პროც. ეს შემცირებული აპარატი გვაძლევდა ჩვენ გაცილებით მეტ ეფექტს, ვიდრე ის, რომელიც ჩვენ გვქონდა წინად.

მხოლოდ 7 აპრილის დეკრეტით მივიღეთ ჩვენ უფლება, დაგვეწყო მომარაგება. 7 აპრილის დეკრეტის გამოცემამდის მომარაგება სწარმოებდა, მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა, ადგილობრივად მომუშავემ, იცის როგორ შეიძლებოდა ამ მომარაგების წარმოება კოოპერაციის მიერ. საჭირო იყო მუშაობისთვის განსაზღვრულ ატმოსფერის შექმნა, რომელიც წინად კოოპერაციას არ ჰქონდა.

საჭირო იყო არა მარტო კოოპერაციის დადგენილება, საჭირო იყო ც. კ. დადგენილება, რომ შექმნილიყო ისეთი ატმოსფერა, რომელშიაც კოოპერაციას შეეძლო მუშაობა და საქონლის გაცვლის საქმის განხორციელება. ამასთან ხმებიც ვრცელდებოდა და სტატიებიც იწერებოდა. ამ დღეებში გამოვიდა მთელი ბროშურა, რომელიც ამბობს, რომ უნდა განვათავისუფლოთ სახელმწიფო კოოპერაციის ბატონობისაგან ჩვენ ვხედავდით მაგალითებს, როცა იკეტებოდა დუქნები, რაიონული განყოფილებანი, მუშებს კოოპერაციის პოსტებიდან ხსნიდნენ, მაგრამ ჩვენ არ გვინახავს ისეთი მაგალითები, რომ კოოპერატივთა მუშაკებს შესძლებოდათ ჩაედინათ იგივე სახელმწიფოებრივ მუშაკთა მიმართ. თქვენ იცით, რომ ადგილებიდან მოდიოდა საჩივრები, რათა შექმნილიყო მუშაობისათვის ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი პირობები. ჩვენ აქ ცენტრში გვიხდებოდა ამისათვის ანგარიში გაგვეწია. მივაქცევ თქვენს ყურადღებას თუნდაც შემდეგზე: ივლისში მოხდა სასურსათო თათბირი. რითი გამოვიდნენ იქ კოოპერაციის წარმომადგენელნი? ისინი გამოვიდნენ შემდეგით: თხოულობდნენ ზომების მიღებას, რომ მუშაობაში კოოპერაციას მეტი სამეურნეო დამოუკიდებლობა მისცემოდა, რომ ნაკლები სახელმწიფოებრივი რეგლამენტაცია ყოფილიყო და მოუწოდებდენ, რომ სასურსათო ორგანოების მხრით მეტი მეგობრული დამოკიდებულება ყოფილიყო მუშათა კოოპერაციის მიმართ. სრულიად გასაგებია, რომ განსაკუთრებით პირველ ხანებში, იმ უნდობლობის ხანებში, რომელშიაც კოოპერაცია იმყოფებოდა, როცა ყველას, ვისაც კი არ ეზარებოდა, შეეძლო კოოპერაციის ჩაწიხვლა,—ბუნებრივია, რომ მხოლოდ უნდა ეყვირნათ, ეთხოვათ, რომ მიეცათ ცოტა მეტი დამოუკიდებლობა მუშაობაში, ვინაიდან უამისოდ არა თუ ვერ შეასრულებდნენ ამოცანას, არამედ ვერ შესძლებდნენ მის განსახორციელებლად მუშაობის დაწყებას.

რა კაპიტალით შეიძლებოდა ვაჭრობის დაწყება? რა კაპიტალით შეუდგა კოოპერაცია ალებ მიცემობას? თუ შევხედავთ საქონლის ნაშთების ჩვენს ცხრილს, ჩვენ დავინახავთ, რომ ცენტრალურ კავშირთან დარჩენილი იყო (ვიღებ მხოლოდ ცენტრალურ აპარატს, რომლის გამოანგარიშება შესაძლებელი იყო), 1918 წ. 8 მილ. საქონელი, 1919 წ. 12 მილ.. 1920 8 მილ. და 1921 წ. 7 მილ. ეს შემცირება. სრულებით გასაგებია, ვინაიდან ამ დროს ხდებოდა საქონლის გასვლა სახალხო სასურსათო კომისარიატის ორდერებით ცენტრალურ კავშირის საწყობიდან. ამას გარდა ეს საქონლები ირიცხებოდა სახალხო სასურსათო კომისარიატის ანგარიშზე ჩვენ მივიღეთ ამ საქონელთა რამოდენიმე ნაწილის მოხმარების უფლება. დეკრეტის ძალით კოოპერაციას უბრუნდება ის საქონლები, რომელნიც მას ეკუთნოდა და ნაყიდი იყო 1920 წლ. 20 მარტის დეკრეტამდი, თუ ისინი აღმოჩნდებოდნენ დაუხარჯველი. თუმცა ჩვენ ანგარიშით გვქონდა 7 მილიონის საქონელი, მაგრამ ვინაიდან ჩვენ საქონელი მივიღეთ სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან, ამიტომ ფაქტიურად დამტკიცება იქნა, თუ რომელი საქონელი ამ დეკრეტის ძალით გვერგება ჩვენ, ჩვენ შევძელით ენკენისთვისათვის მხოლოდ 1 მილ. 534 ათას მან. მხოლოდ პირველ სექტემბრისათვის გადავიდა ეს საქონელი ჩვენს განკარგულებაში, რომელიც ღირდა 1 ნახ. მილ. მანეთი ოქროს ვალიუტით. პირველ სექტემბრამდი ამ საქონლით სარგებლობა ჩვენ არ შეგვეძლო. ამ გვარად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შევუდექით სავაჭრო მუშაობას ამ ფონდით მხოლოდ სექტემბრიდან და ამასთან არა დასაწყისში, არამედ ცოტათი დაგვიანებით, ვინაიდან საჭირო იყო ამ საქონლის გადაზიდვა. მაგრამ რამდენი ფული ჰქონდა კოოპერაციას. სულ მხოლოდ 400—500 ათასი მან. ოქროს ვალიუტით, აი მთელი ის კაპიტალი, რომლითაც კოოპერაციას არა მარტო უნდა დაეწყო, არამედ უნდა ჩაეტარებია მთელი სააღებ-მიცემო მუშაობა და მოეპოვებია ბაზარი. აი ამხანაგებო, როგორი იყო მომხმარებელთა კოოპერაციის მდგომარეობა.

რასაკვირველია, მუშაობა ნელის ნაბიჯით მიდიოდა. ივნისში თუ ივლისში, როცა იყო გაკეთებული პირველი მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოში კოოპერაციის მოქმედების შესახებ, მდგომარეობა იყო მძიმე, ვინაიდან კითხვაზე იმის შესახებ: რა გავაკეთეთ ჩვენ, ჩვენ შევძელით მხოლოდ გველაპარაკნა იმ დაბრკოლებათა შესახებ, რომელნიც ჩვენ წინ გვეღობებოდა. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე დაჟინებით მოითხოვდა: არა, თქვენ გვითხარით მომარაგების ციფრი, ციფრი, ციფრი... ციფრის თქმა კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან სულ დამზადებული იყო მხოლოდ 14 ათას ფუთამდი პური.

შემდეგში მუშაობამ მიიღო უფრო წარმატებითი ხასიათი, მე მე მაქვს ჩვენი მუშაობის ანგარიშები 20 ნოემბრისათვის თქვენ დაინახავთ, რომ ამ დროის განმავლობაში იყო მომზადებული სახელმწიფოებრივი მუშაობით სულ სურსათ-სანოვაგე 6 მილ. ფუთამდე მეტი, კოოპერატიულ მომარაგებით კი მხოლოდ 95 ათასი ფუთი. ხორცი ორ მილიონ ფუთზე [illegible], ნედლეულობა, დაახლოვებით, 200 ათას ფუთზე მეტი, სულ 161 ათასი და სხვა. რასაკვირველია, ციფრები, შედარებით, პატარაა, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რა ძნელი იყო მუშაობა და რომ ეს მუშაობა სწარმოებდა მაშინ, როცა სრულებით არ იყო არც ფული, არც საქონელი, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება ის გარემოება, რომ ჩვენ მაინც შევძელით ამ ხნის განმავლობაში ბაზარში შესვლა, თუმცა, რასაკვირველია მისი დაპყრობა ვერ მოვასწარით.

არსებითად ჩვენი გაძლიერებული მუშაობა იწყება სექტემბრიდან და შემდეგ თანდათან იზრდება. თუ ავიღებთ ჩვენ ცნობებს იმის შესახებ, რამდენია გაყიდული საგუბერნიო კავშირის საქონელი, ჩვენ მივიღებთ შემდეგ ციფრებს: სექტემბერში 2 მილიარდ მანეთს, ოქტომბერში უკვე 39 მილიარდის, ნოემბერში 46 მილიარდ., დეკემბრის 15 დღის განმავლობაში კი 80 მილიარდზე მეტი. ჩვენ ვხედავთ რომ სექტემბერში იყო 3 პროც. ოქტომბერში 45 პროც. და ნოემბერში 52 პროც. გადაეცა სახელმწიფოებრივ ორგანოებს ხელშეკრულების ძალით. სექტემბერში 30 მილიარდ., ოქტომბერში 76 მილიარდ. და ნოემბერში 146 მილიარდი პროცენტებში ეს გამოდის: სექტემბერში 12 პროც. ოქტომბერში 30 პროც. და ნოემბერში 58 პროც. რომ აღვნიშნოთ მთელი ბრუნვა, მივიღებთ ასეთ ციფრებს: სექტემბერში 9 პროც. ოქტომბერში 31 პროც. და ნოემბერში 60 პროც.

მე მიგითითებთ კიდევ ერთ ცხრილზე, რომელსაც აქვს აგრეთვე განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა. საქონელი შემოდის სახელმწიფოებრივი დაწესებულებებიდან, კოოპერატიულ ორგანოებიდან, შინა-მრეწველებიდან, კერძო პირებისაგან და, უკანასკნელად, საკუთარ წარმოებისაგან. ენკენისთვეში შემოვიდა სულ 36 მილიარდის საქონელი, ოქტომბერში 101 მილიარდ. ნოემბერში კი 188 მილიარდისა. ამ ხნის განმავლობაში სულ შემოვიდა 333 მილიარდის საქონელი. პროცენტებში კი გვაქვს ჩვენ შემდეგი შეფარდება: კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან შემოვიდა 87 სამი მეოთხედი პროც. სახელმწიფოებრივ დაწესებულებებიდან 8 პროც. საკუთარ წარმოებიდან 3 მეოთხედი პროც. შინა-მრეწველებისაგან თითქმის არაფერი, ვინაიდგან ისინი შევიდნენ, როგორც ნაწილი, კოოპერატიულ ორგანიზაციებში, და კერძო პირებისაგან 3 მეოთხედი პროც. ეხლა შევხედოთ, რა გადავეცით ჩვენ სახელმწიფოს. აქ ცხრილი გვაძლევს შემდეგ ციფრებს: სახელმწიფოს ხელშეკრულების ძალით გადაეცა 73 ნახ. პროც. და კოოპერატივებს 21 პროც. ეს ციფრები ამბობენ, რომ უფრო მეტად ჩვენ სახელმწიფოებრივი ორგანოებისათვის ვმუშაობთ.

საინტერესოა აგრეთვე ტაბულა, რომელიც ლაპარაკობს ჩვენს საორგანიზაციო გასავალის შესახებ. ის საინტერესოა იმ მხრივ, რომ აღნიშნავს, არის თუ არა ამ მხრივ დაპყრობა, ვაღწევთ ჩვენ თუ არა ჩვენი გასავლის შემცირებას. და აი რა გვაქვს ჩვენ: სექტემბერში საორგანიზაციო გასავალი უდრიდა 21 ერთი მეოთხედი პროც. (რასაკვირველია, ცხადია, რომ არც ერთს სავაჭრო საქმეს არ შეუძლია ამის ატანა). ოქტომბერში უკვე 13 პროც. და ნოემბერში 12 პროც. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს აქ ჩვენი ბანკების კრედიტის ხარჯთ-აღრიცხვის ციფრს: სექტემბერში ჩვენ უნდა გადაგვეხადა 6 ერთი მეოთხედი პროც ოქტომბერში 5 პროც. ნოემბერში კი 5 ნახ. პროც. თქვენ ხედავთ, რომ თუ ნოემბერში საორგანიზაციო გასავალი უდრიდა 12 პროც. და თუ აქედან გამოვაკლებთ ბანკის 5 ნახ. პროც. მაშინ დაგვრჩება არც ისე დიდი გასავალი თუ ჩვენ ვილაპარაკებთ შტატის შესახებ, მოსამსახურეების ჯამაგირზე, ციფრები იქნება ასეთი: სექტემბერში 9 ნახ. პროც. ოქტომბერში 4 პროც და ნოემბერში 3 მესამედ მეოთხედი პროც. ყველა ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი საორგანიზაციო გასავალი თანდათან მცირდება.

უნდა აღინიშნოს კიდევ ის, რომ მუშაობის შედეგი ძალიან პატარაა, მაგრამ მიზეზები, რომლებიც, მუშაობას ხელს უშლიდენ, იმდენად დაუძლეველი იყო, რომ მასზე უნდა შევჩერდეთ.

საქონლის საქონელზე გადაცვლამ ფეხი ვერ მოიკიდა. მაგრამ იყო კი იგი? მე უნდა ვთქვა, რომ იგი არ ყოფილა, არ ყოფილა სახელდობრ

# საბჭოთა არჩევნები საქართველოში

### დუშეთის მაზრა.

მაზრა დავყავით ცხრა რაიონათ, პირველი—მუხრანი და მჭადიჯვარი, მეორე—საგურამო და ჰოპორტი, მესამე—ახალგორი, მეოთხე—ფასანაური და მლეთი, მეხუთე—ყაზბეგი, მეექვსე—მცხეთა, მეშვიდე—კობი, მერვე—ბაზალეთი და გრემისხევი, მეცხრე—ცხინვალი და დუშეთი. ყველა რაიონში დავგზავნეთ 16 იანვარს ინსტრუქტორები და შევადგინეთ კომისიები, რომელნიც უკვე შეუდგნენ წინასწარ მუშაობას. ველით თბილისიდან ყამარაულის ჩამოსვლას, რომელიც დანიშნულია ინსტრუქტორად.

დუშეთის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **თოპჩიაშვილი.**

### ბორჩალოს მაზრა.

მცხოვრებთა აღსანუსხავად და არჩევნების მოსაწყობად უკვე დაიგზავნა ყველა რაიონში კომისიები. არჩევნებს შეუდგებით ამა წლის 1 თებერვლიდან.

**ჟვატკოვი.**

### ფოთი.

ქალაქის ყველა რაიონის ამრჩეველთა აღსანუსხავად და სათანადო სიის შესადგენად მოეწყო სამეულები, რომლებიც უკვე აწარმოებენ მუშაობას, თანახმად ინსტრუქციისა. არჩევნების დღეს ცალკე გაცნობებთ: გამოგზავნეთ ანკეტები და ფული.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მამინაშვილი.**

### სენაკის მაზრა.

თემებში უკვე დაგზავნილია ინსტრუქტორები სათემო საარჩევნო კომისიების მოსაწყობად და არჩევნების უფლების მქონე და ამ უფლებას მოკლებულ მოქალაქეთა სიების შესადგენად. ქალაქ სენაკშიც შესდგა ქალაქის საარჩევნო კომისია და შეუდგა უკვე მუშაობას. ეს მუშაობა მოთავდება 22 იანვრამდე. 25 იანვრიდან ან 1 თებერვლიდან დავიწყებთ არჩევნებს და მოვათავებთ 5 თებერვლამდი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მამულია.**

# კაპიტალიზმის სამეფოებში

### ინგლის-ირლანდიის ურთიერთობა.

**მოსკოვი,** 17 იანვარი, (რადიო). ლონდონიდან იუწყებიან: ბრიტანიის მთავრობამ ამნისტია გამოუცხადა ყველა დაპატიმრებულ ირლანდიელებს. 12 იან. დაიწყეს ბრიტანიის ჯარის გაყვანა ირლანდიიდან. იწვევენ სინფეინერების პარტიის დელეგატების კონფერენციას. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 3000-მდე კაცი.

### რუმინია

#### ბარბაროსობა.

**მოსკოვი,** 16 იანვარი, რადიო. რუმინულ გაზ. „ადევერულ“ იუწყება, რომ ამას წინათ ლტოლვილთა ჯგუფი—9 კაცი, მათ შორის ერთი გამოჩენილი ოდესელი ექიმი გადავიდნენ ბესარაბიის საზღვარზე. ყველა ეს ლტოლვილები დაატუსაღა რუმინეთის საზღვრის დარაჯებმა და საპყრობილეში ჩასხეს. დაპატიმრებულნი აწამეს, ცოლები და ქალიშვილები გააუპატიურეს მათი ქმრების და მშობლების თვალწინ. ამის შემდეგ უპედურებს უბრძანეს უკან დაბრუნებულიყვნენ ყინულზე. ყინულის სისქე ჰქონდა სულ რამდენიმე მილიმეტრი. როცა ისინი შედგნენ ყინულზე, მათ უკანიდან თოფი ესროლეს. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ასეთი შემთხვევა ბევრი მოხდაო.

#### ახალი კაბინეტი.

**ბუქარესტი.** 15 იანვარი, რადიო. 14 იანვარს შესდგა ახალ კაბინეტის პირველი სხდომა, მთავრობის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დეკლარაცია და მთავრობის მუშაობის პროგრამა. პირველ სხდომაზე მთავრობა შეუდგა საარჩევნო კანონის და ფინანსიურ რეფორმების კანონ-პროექტის განხილვას.

# ქრონიკა

✦ **საქალაქო აღწერა.** ხარჯთ-აღრიცხვა საქალაქო აღწერის უკვე დაამტკიცა ფინანსთა საკომისარიატოს საუწყებათაშორისო საბიუჯეტო კომისიამ და საქ. პროფ. კავშირთა საბჭომ. ხარჯთ-აღრიცხვა აღემატება 600 მილიონ მანეთს. დასკვნებით ხარჯთ-აღრიცხვა გაიგზავნა საქართველოს რევკომში.

✦ **თბილისის გეგმა.** ქალ. სტატისტიკური განყოფილება მომავალ აღწერის მოლოდინში შეუდგა თბილისის გეგმების დამზადებას. აღწერის გასაადვილებლათ თბილისი იქნება დაყოფილი 50 საკანტროლო რაიონად და 1000 სააღწერო უბნათ, რისთვისაც მზადდება განსაკუთრებული გეგმები. თითოეულ აღმწერელს ექნება მიჩენილი განსაკუთრებული სააღწერო უბანი და ქარტა კვარტალების ჩამოთვლით. ვინაიდან გარეთ უბნებში ზოგიერთი ქუჩები და კვარტალები არაა ქარტაში შეტანილი, ამიტომ სპეციალური კომისია უკვე შეუდგა გარეუბნებისთვის სათანადო პლანების შედგენას.

✦ **თბილისის სტატისტიკური კრებული.** ქალ. სტატისტიკური განყოფილება შეუდგა თბილისის სტატისტიკური კრებულის დამზადებას. კრებულში ციფრებით მასალების გარდა იქნება დიაგრამები და ქარტოგრამები. კრებულის დამთავრება განზრახულია თებერვლისთვის.

✦ **ლომისი № 4.** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული ჟურნალის, ლომისის მე 4 ნომერი, შემდეგი შინაარსით: ილია ჭავჭავაძის დაუბეჭდავი ლექსი: ეკატერინე სარაჯიშვილისას. ხარიტონ ვარდოშვილი: სათხოვარი სულისადმი (ლექსი მეხუთე). იასამანი: შემოდგომის რვეულები. სიმონ წვერელი: სალამოვნებაა. ალერტი: „fleurs du Mal“-ის უკანასკნელი კორექტურა. ვლ. ბოკუჩავა: ვან გოგი. ირაკლი ტოფაძე: ლადო გუდიაშვილი. ლეო ქაჩელი: დანტეს წინარდო. ხელოვნების მატიანე. ამ ნომრიდან იწყება ბეჭდვა ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანისა: ხაზართა სარძლო.

# ანატოლიის ოსმალეთის შესახებ

**(უკრაინის ს. ს. რ. საგანგ. რწმუნ. ამხ. ფრუნზეს მოხსენება თბილისის საბჭოს პლენუმზე)**

19 იანვ. შესდგა თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საგანგებო კრება, პროფსაბჭოს პლენუმსა, ფაბ. ქარხ. და ადკომებთან ერთად, უკრაინის ს. ს. რ. საგანგებო რწმუნებულის ამხ. ფრუნზეს მოხსენების მოსასმენად ანატოლიის ოსმალეთის შესახებ.

სხდომას დაესწრო ანგორის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში, ბ. ბუხტარ-ბეი.

#### ამხ. ელიავას სიტყვა

მოკლე, შესავალ სიტყვებში, ამხ. ელიავა ამბობს, რომ ამხ. ფრუნზე ახლახან დაბრუნდა ანგორიდან, ზავისა და ძმობის ხელშეკრულობის დადების შემდეგ დიდი ეროვნულ კრების მთავრობასთან.

ამხ. ფრუნზე არ არის დიპლომატი. იგი არის ჩვენი წითელი არმიის ერთ ერთი წითელი გენერალი, რომელიც იბრძოდა უმთავრესად სამოქალაქო ომის აღმოსავლეთის ფრონტებზე, სადაც საფუძველი ეყრებოდა. რუსეთში მცხოვრებ მუსულმან ხალხების ავტონომიურ რესპუბლიკებს—ბაშკირიას, კირგიზიას, თურქესტანს.

მის გამგზავრებას ოსმალეთში აქვს სიმბოლიური მნიშვნელობა: იგი მშვენივრადაა გაცნობილი მუსულმან ხალხების მდგომარეობას საბჭოთა რუსეთში და ეხლა, იგი ასევე გაეცნო ოსმალეთის მდგომარეობას.

თავმჯდომარე ამხ. ლადო დუმბაძე აცხადებს, რომ სიტყვა ეძლევა ამხ. ფრუნზეს.

კრების ყველა მონაწილენი ადგილებიდან დგებიან და ამხ. ფრუნზეს მხურვალე ოვაციას უმართავენ.

#### ამხ. ფრუნზეს მოხსენება

(თბილისის საბჭოს პლენუმზე 19 იანვარი).

ძვირფასო ამხანაგებო! სანამ შეუდგები ჩემს მოხსენებას, მე ნებას მივცემ თავს მოგმართოთ თქვენ მისალმებით თქვენი მოკავშირე და ძმური რესპუბლიკის—უკრაინის სახელით (მქუხარე ტაში, ყველანი დგებიან).

უკრაინის მუშები და გლეხები უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს იმ ბრძოლას, რომელსაც აქ, კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, აწარმოებდნენ მშრომელი მასსები. უკრაინის მუშები და გლეხები კმაყოფილებით ხედავენ, თუ რა მოკლე დროში მოგვარდა აქ საბჭოთა აღშენებლობა, და გულითადად გესალმებიან თქვენ (ტაში).

თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ მე გამგზავნეს ოსმალეთში ასეთი მაღალი დიპლომატიური დავალებით, რათა განვეფანტო ყოველგვარი ეჭვი, მე განვმარტავთ იმ გარემოებებს, რომელნიც თან ახლდნენ ჩემს დანიშვნას.

იყო შუა ზაფხული, მომენტი, როცა ჩვენი მეგობრული ოსმალეთის ჯარები განიცდიდნენ მთელ რიგ დამარცხებებს და ემზადებოდნენ დაეთმოთ თვით ანგორა. დასავლეთ ევროპის პრესა სავსე იყო ცნობებით, რომ ანგორა დაეცა, რომ [illegible] დიდი ფრონტული [illegible], რომ მთელ ანატოლიაში დამყარდა ანტანტის გავლენა.

და აი ოსმალეთისათვის ამ მძიმე მომენტში, ჩვენ ჩვენი უფროსი ძმის—საბჭოთა რუსეთის თანხმობით, გვინდოდა მთელი მსოფლიოს წინაშე გვეჩვენებინა, რომ ჩვენი მეგობრობა უცვლელია ყველა გარემოებებში, რომ ის, ვისაც იმედი აქვს ჩვენი დახმარებისა, მაიღებს მას დამოუკიდებლად იმ მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება.

ჩემის გაგზავნით საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახს უნდოდა ეთქვა ანატოლიის ოსმალეთისათვის, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია მაგრად იდგეს, რომ მას შეუძლია ანგორაც დასთმოს, ვინაიდან მის უკან არსებობს დიდი და მეგობრული ზურგი—კავკასია და საბჭოთა რუსეთი, რომელზედაც დაყრდნობით შეუძლია განაგრძოს ბრძოლა იმპერიალიზმთან თავისი ნაციონალური განთავისუფლებისათვის (ტაში),

სამწუხაროდ მე მაშინათვე ვერ შევძელი ოსმალეთში გამგზავრება, და წავედი მხოლოდ შემოდგომაზე. მომენტი იყო მძიმე. ახლახან იყო ხელმოწერილი საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება—დასავლეთ ევროპის პრესაში ათავსებდნენ ინფორმაციას და წერილებს, რომ ბოლო დაუდგა ოსმალეთის მეგობრობას საბჭოთა რესპუბლიკებთან, და რომ იგი თავს უყრის ჯარებს კავკასიის საზღვრებისაკენ.

მე უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ასეთივე ხმები ჩვენზე და ჩვენი განზრახვებზე ოსმალეთის წინააღმდეგ ვრცელდებოდა ანატოლიაში. ამბობდნენ, თითქო ჩვენ ჯარებს უყრიდით თავს. ვემზადებოდით თავდასხმისათვის და სხვა. ოსმალეთში ჩვენ დაგვხვდა საშინლად გამწვავებული განწყობილება, ისე სჩანდა, აი ეს არის დავდგებით ნამდვილი განხეთქილების ფაქტის წინაშე.

ჯერ კიდევ ოსმალეთში გამგზავრების წინ მე უფიქრდებოდი საკითხს, თუ რა ფორმებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ჩვენი ურთიერთობანი. ჩვენთვის ყველასათვის ცხადია, იგულისხმება, განსხვავება საბჭოთა რესპუბლიკებსა და ანატოლიის ოსმალეთს შორის, ეკონომიურ პოლიტიკაშიც, საზოგადოებრივ ურთიერთობაშიც, ჩვენსა და მათ წინაშე მდგარ ამოცანების ხასიათშიც. მაგრამ ვიღებდით რა მხედველობაში ყველაფერ ამას, ჩვენ გვესმოდა, რომ ამ განსხვავებამ არ უნდა შეუშალოს ხე-

დება განსაკუთრებული უარყოფითი სანიტარულ-ტეხნიკური მოუწყობლობა, რომლებიც შესაძლებელია წარმოების მეპატრონის მიერ აცდენილი იქნენ თავიდან. ყველა ამ მუხლში ნათქვამი ეხება განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი ხასიათის დაწესებულებებს და წარმოებებს. რაც შეეხება კერძო და სხვა წარმოებებს, აქ ყოველივე წვრილმანი უნდა იქნეს უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ ზედმიწევნით მეთვალყურეობაში. ნ) გადასახადების მოკრება შეიძლება სწარმოებდეს როგორც ხელფასის სახით მუშებს და მოსამსახურეებზე მიცემულ თანხიდან, ისე ამა თუ იმ ადგილის საშუალო ხელფასიდან; ამასთან საგუბერნიო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატებს ეძლევა არჩევანის უფლება ამ ორ სისტემის შორის. სახ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი ურჩევს პირველ ხანებში დამყარდეს უკანასკნელის ხელფასის გამოანგარიშება, რადგან ეს სისტემა ყველაზე უფრო მარტივია და მაშასადამე მის საშუალებით გამოანგარიშება უფრო ადვილი შესამოწმებელია.

### ბაზრის ფასები მოსკოვში.

**მოსკოვი.** „ეკონომიური ცხოვრება“ იუწყება: ფასების აწევა მოსკოვის ბაზარზე დაუცხრომლათ გრძელდება; ძვირდება ისეთი სანოვაგე, რომელთა ფასები დეკემბერში საკმაოთ მტკიცე იყო. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ფქვილი, რომელიც რამდენადმე გაიაფდა მოსკოვიდან მისი გატანის აკრძალვის გამო. ერთნაირ ხარისხის საქონლის საშუალო ფასების სუსტი განსხვავება სხვადასხვა ბაზარზე მოწმობს იმას, რომ ვაჭრობაში მყარდება კარგი წეს-რიგი, ცხადია, ბაზრის მამასახლისების საშუალებით. შენიშნულია მიდრეკილება ფასების გაერთიანებისადმი, ვალიუტას ოფიციალურ ფასების მიხედვით იმ ვარაუდით, რომ ომის წინა დროის 1 კაპეიკი უდრიდეს თანამედროვე 800 მანეთს. შენიშნულია მაინც, რომ ფასების იმ საშინლათ აწევის შემდეგ, რომელიც მოხდა 16 დეკემბერს, ფასების ზრდა თითქმის შეჩერდა. უმთავრეს სანოვაგის ფასები შემდეგია: ჭვავის პური—8,3 ათასი მანეთი, ხორბლის პური 25 ათასი „კრუპა პერლოვა“—14,500 მან. მანანა—30,000 მ., გაქერქილი ფეტვი („პშენნაია“)—14.500 მ., „გრეჩიხისა“ 17,000 მ., კარტოფილი—1,800 მან., კომბოსტოს მწნილი—4.500 მ., სელდი—14,500 მ, ცხვრის ხორცი—30,000 მ., რძე—ერთი ჭიქა—11,500 მან., რუსული ერბო—70,000 მ., კარაქი—80,000 მ., მზესუმზირას ზეთი 44,000 მ.

ისეთი საქონლის—გაცვლა, რომელიც, რაც უნდა დამჯდარიყო, უნდა ჩატარებულიყო. ამ მხრივ მე სავსებით ვეთანხმები ამხ. ფრუმკინს, რომელიც ამას აღნიშნავს თავის ბროშურაში. ჩვენ მაინც გვქონდა მუშაობა საქონლის გაცვლის სფეროში ჯერ კიდევ 7 აპრილის დეკრეტამდე, იმ დრომდე, ვიდრე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის, რელსებზე გადავიდოდით. აი, მაგალითად, როგორ სწარმოებდა ჩვენი პრაქტიკული მუშაობა სათესლე კარტოფილის დამზადების საქმეში ამ წლის გაზაფხულზე. ჩვენ უნდა დაგვემზადებია ორლის, ბრიანსკის და გომელის გუბერნიებში მომარაგების მაქსიმალური რაოდენობა, ამასთან ორლის გუბერნიაში უნდა დაგვემზადებია 100.000 ფუთი, ბრიანსკში—100.000 ფ, და გომელისაში 80.000 ფ., ეს რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ ჩვენ შეუდექით მუშაობას ჩვენ მაისში და ეს ციფრები შეიქნა უკვე დიდათ. ჩვენ ასე ვიქცეოდით: ორლის გუბერნიაში თითოეულ ფუთ კარტოფილში ვაძლევდით არშინ ნახევარ მანუფაკტურას და 7 გირვანქა მარილს. ბრიანსკის გუბერნიაში ჩვენ ვაძლევდით 3 სამი მეოთხედი გირ. მარილს. ასეთი საქონლის გაცვლის შედეგმა გვიჩვენა კოოპერაციის უნარიანობა ამ საქმეში, ვინაიდან, თუ, მაგალითად, ტულის გუბერნიაში ფუთი კარტოფილი საბაზრო ფასით ღირდა 10.000 მან., ორლისაში—18.000 მან., ბრიანსკში—8 ათასი და გომელისაში—13 ათასი, ჩვენმა მომარაგებამ მოგვცა ისეთი შედეგები, რომ ორლის გუბერნიაში ასეთი გაცვლის საშუალებით ფუთი კარტოფილი 18,000 მაგიერ ჯდებოდა 14 ნახევარი ათასი ბრიანსკის გუბ. 8 ათასი მ.—7.312 მან. გომელის გუბერნიაში 13,000—9 ათასი. ყოველგან ცოტათ თუ ბევრად წარმატებით მიმდინარეობდა გაცვლა, მაგრამ ეს იყო ისეთ ადგილებში, სადაც უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო განსაზღვრული საქონელი. თითქმის ეხლაც შევხვდებით ჩვენ ასეთ ადგილებს. როდესაც განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო მარილზე, მაშინ იგი იყო ისეთი საქონელი, რომელზედაც შეიძლებოდა საქონლის გადაცვლა ამა თუ იმ ადგილზე. მაგრამ საქონლის გადაცვლა როგორც წესი, ჩვენ არ გვქონია.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ მუშაობაში ვიქნებოდით ჩვენ მონოპოლისტები, ვინაიდან საქონლის პატრონი სახელმწიფო იყო, რომელიც აძლევდა საქონელს კოოპერაციას. კოოპერაცია ბაზარზე უნდა გამოსულიყო, როგორც ყველა საქონლის მეპატრონე, როგორც მთელი ვაჭრობის მონოპოლისტი. ფაქტიურად მოხდა შემდეგი. 7 აპრილის დეკრეტთან ერთად იქნა გამოცემული მეორე დეკრეტი მუშებისადმი ავანსის სახით საქონლის მიცემისა და სხვა საპრემიო ფონდების შესახებ; ამ პირობებში ეს საქონელი არ უნდა გაეშვათ მანამ ვინემ კოოპერაცია საქონლის სახით სიმდიდრეს თუ არ დააგროვებდა და მუშაობას არ დაიწყებდა. მაგრამ ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კოოპერაციას ქონებოდა საღებ-მიცემო საშუალებანი პურის სახით, რომ მას შესძლებოდა თვითეულ მუშათა ორგანიზაციისათვის, რომელსაც სურდა თავისი პირდაპირი გაცვლა ეწარმოებია, მიეცა პროდუქტების რამოდენიმე ნაწილი. მაგრამ ვინაიდან ამის შესრულება შეუძლებელი იყო, უნდა დაგვეშვა ხაზის ერთგვარი გარღვევა. ეს პსიქოლოგიურადაც ძლიერ მნიშვნელოვანი იყო რეალურ პირობების მიხედვითაც—ამ ორგანიზაციებს ნება უნდა მისცემოდათ მონაწილეობა მიეღო საქონლის გაცვლის საქმეში.

ის ცნობები, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს, გვიჩვენებენ, რომ საქონლის საკმაოდ დიდი რაოდენობა, თითქმის უფრო მეტი, ვიდრე კოოპერაციას ჰქონია სახელმწიფოსაგან, იყო გამოსული საქონლის თავისუფალ ბაზარზე. არც კერძო კაპიტალს ეძინა. მაგრამ მუშაობის დასაწყისში ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა კერძო კაპიტალს. მხოლოდ თანდათან მან მოიპოვა დიდი მნიშვნელობა.

ძალიან ძნელი იყო ეგრედ წოდებულ ეკვივალენტის დამყარება, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ვაფასებდით პურის შეფარდებას საქონელთან, როგორც ერთს სამთან. ნედლეულობის მომარაგების მიმართ ეს თითქმის ცოტაა—შეიძლებოდა კიდევ უფრო გადიდება. მაგრამ პურის მიმართ შეიძლებოდა ამ ეკვივალენტის დაცვა და საჭირო იყო დაუსრულებელი ბრძოლა, როგორც ადგილობრივად, ისე აქ იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს საქმე არ ჩაგვშლოდა. მართალია, აქ ცენტრში, სახალხო სასურსათო კომისარიატში, ერთბაშად დამყარდა შეხედულება, რომ შესაძლებელია ერთგვარი გადახვევა. და როდესაც ჩვენ ვქმნიდით აქ და ადგილობრივად საეკვივალენტო კომისიებს, ჩვენ კარგად გვქონდა შეგნებული, თუ როგორ გაჭიანურდებოდა საქმე, და შესაძლებელი იყო თუ არა იმ ბაზრის სავაჭრო ცენტრში, სადაც საჭიროა განსაკუთრებული სიჩქარე ფასების ელასტიურობაში, შესაძლებელი იყო თუ არა ეკვივალენტის შემცირება დეპეშის საშუალებით ცენტრიდან. იქ, სადაც საგუბერნიო ეკონომიური თათბირი ეკვივალენტს ამცირებდა, იქ იყო დადებითი შედეგები ასეთ მუშაობისაგან.

მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი, რაც საჭიროა აღინიშნოს არის—საქონლის უქონლობა, ფულის საშუალებათა უქონლობა, რომელიც მთელ ჩვენს ყურადღებას და ჩვენ მთელ ძალებს იპყრობდა. პირველად მომხმარებელთა კოოპერაციამ, შეკრა რა, ეგრეთწოდებული, გენერალური ხელშეკრულება სახალხო სასურსათო კომისარიატთან, დაამყარა მუშაობა საკომისიო საფუძვლებზე. სახალხო სასურსათო კომისარიატი იმ თავითვე ცდილობდა იმას, რომ ისეთი ურთიერთობანი დამყარებულიყო როცა შესაძლებელი იქნებოდა მისცემოდა კოოპერაციას ამოცანა მაგარ პირობების საფუძველზე, ე. ი. მისცემოდა ადრევე განსაზღვრული ფასი, განსაზღვრულ მარაგის რაოდენობის განსაზღვრული ვადა. პირველად მომხმარებელთა კოოპერაციამ ვერ შესძლო ასეთი პირობების მიღება, ვინაიდან არ იყო არც კაპიტალი, არც საბრუნავი საშუალებანი; ამას გარდა საგარეო და საშინაო ანტურაჟი კოოპერაციას არ აძლევდა შესაძლებლობას, ყოფილიყო ის დარწმუნებული, რომ ის შესძლებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა შესრულებას. როდესაც კოოპერაციამ შესძლო თავისი აპარატის მოწესრიგება, როდესაც მან შესძლო ბაზრის არა დაპყრობა, არამედ ბაზარზე გასვლა, მაშინ მომხმარებელთა კოოპერაციას შეეძლო მიეღო ეს პირობები. მე თქვენ აქ წაგიკითხავთ დეპეშათა პატარა რიგს, რომელიც იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამათ საგუბერნიო კავშირები, რომელიც ასრულებს სახელმწიფოებრივ დავალებას პურის მოგროვების საქმეში: აქტიუბინსკი—საქონლის უმნიშვნელო რაოდენობა, არხანგელსკი—ცოტაა საქონელი, ბრიანსკი—საგუბერნიო კავშირის ოთხ დეპეშიდან აშკარავდება რომ საქონლის გაცვლა ისპობა, საქონლის უქონლობის გამო. ვოლოგდა—საქონლის უმნიშვნელო რაოდენობაა. გომელი—ოთხი შემდეგი დეპეშა მოითხოვს გაიგზავნოს საქონელი. ირბიტი—საქონლის მწვავე ნაკლებობა არის და სხვა. დეპეშების მთელი რიგი გვიჩვენებს, რომ ჩვენში ეხლაც ადგილებზე საქონლის ნაკლებობაა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ პირობებში, როდესაც კოოპერატივს არ აქვს საკუთარი საშუალებანი, საქონლის ღირებულებანი და როდესაც არ მოიპოვება საბრუნავი საშუალებანი, რომ ჩვენ სახალხო სასურსათო კომისარიატმაც მოგვცეს საქონელი, ეს საქონელი უნდა დავგზავნოთ სხვა და სხვა ადგილებში, ამასთან არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საქონელი ყველა ადგილებშია დაგზავნილი, რომ შესაძლებელი მუშაობის წარმოება საბრუნავ საშუალებათა და საბრუნავ ნაშთთა გარეშე, განსაკუთრებით მუშაობის დასაწყისში, როდესაც ადგილობრივათ საქონლის განაღდება შეუძლებელი შეიქნა.

თავისუფალი ბაზარი მოთხოვნილების და მიწოდების მთელი თავისი კანონებით დადგა ჩვენს წინაშე. ჩვენ სხვა და სხვა მეთოდის საშუალებით უნდა გადაგვეჭრა საკითხი არა მარტო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვეწარმოებია ვაჭრობა, არამედ გამოგვენახა შესაფერისი ფორმები მოთხოვნილების და მიწოდების ჩამოსაყალიბებლად, რომ ერთგვარი წესი შეგვეტანა თვით მუშაობის პროცესში. ჩვენ გვქონდა მთელი რიგი მოძრავ დუქნებისა, რომელთა საშუალებით ჩვენ ვამყარებდით სავაჭრო მუშაობას, ბაზრებსა და, უკანასკნელად ჩვენ უნდა გადავსულიყავით ბირჟაზე, მიუხედავათ იმისა, რომ, თითქოს, ბირჟა სრულიად არღვევს, ეგრედ წოდებულ, კოოპერაციის უპირატესობის პირობებს, რომელნიც მინიჭებული აქვს მას 25 ოქტომბრის დეკრეტით. მაგრამ უმთავრესი არის არა-ლეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლა, გამოაშკარავება და მუშაობის დაკანონება. ამ მხრივ არა იმდენად მნიშვნელოვანია ის პირობები, რომელშიც გვიხდება მუშაობა, მხოლოდ კი ეს პირობები იყოს ნათელი, განსაზღვრული და ცნობილი.

ჩვენ ვიმყოფებით აუცილებლობის წინაშე რადაც უნდა დაჯდეს შევქმნათ ჩვენთვის, სახელმწიფოებრივ კრედიტის გარდა, კიდევ თავისი, საკუთარი, სამომხმარებლო კრედიტი. ჩვენ ნათლად ვიცით, რომ ყოველგვარ შეგროვილ ფულის საშუალებით, ეგრედწოდებულ საწევრო და სხვ. მომხმარებელთა კოოპერაციის სალაროს გაძლიერება შეუძლებელია და ეხლა ჩვენ მივედით აუცილებლობამდის დავაარსოთ ჩვენი საკუთარი მომხმარებელთა ბანკი, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ბანკი დაარსდეს სახელმწიფო ბანკის მონაწილეობით და მისი ხელმძღვანელობით.

ამას გარდა საქონლის ფაქტიური ნაკლებობა გვაიძულებს მოვახდინოთ საქონლის შესაძლებლობის გაფართოვება. ჩვენ ვდგევართ აუცილებლობის წინაშე ვაწარმოოთ დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობა. მაგრამ ჩვენ ვთვლით აუცილებლად შევასრულოთ ეს მუშაობა საგ. ვაჭრ. სახ. კომ. შეთანხმებით და იმის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ, თვით მუშაობა კი უნდა ჩატარდეს ფრთხილად და უპირველესად ყოვლისა კოოპერატიულ გაერთიანებათა საშუალებით. ეხლა ამისათვის ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი პირობებია, განსაკუთრებით კონგრესის შემდეგ, როცა ჩვენი კოოპერაცია გახდა საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის წევრი

მე ვთვლი საჭიროდ შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე, რომელსაც აქვს განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, სახელდობრ საორგანიზაციო საკითხზე. 1919 წლის 20 მარტის დეკრეტით საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიღო ყველა მოქალაქეთა სავალდებულო ჩაწერა კოოპერაციაში და ამ გარემოებაში მე ვხედავ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევას, მის ბრძოლით მონაპოვარს. გვაქვს რა 1919 წლის 20 მარტის ეს დეკრეტი და 7 აპრილის დეკრეტის პუნქტი, რომელიც ადასტურებს კოოპერაციის სავალდებულო წევრობას, ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა ჩავთვალოთ მომხმარებელთა კოოპერაცია ჩვენად, ამბობენ კიდეც, რომ ის არის საბჭოთა კოოპერაცია, გვაქვს რა საშუალება ჩავთვალოთ იგი ჩვენად, ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ და ვიმუშაოთ სახელმწიფოებრივი გეგმის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ნამდვილად ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ ასე თუ ისე ავიღოთ საკუთარ ხელში თავისუფალი ბაზარი.

ამხანაგებო, ჩვენ თუ უარი განვაცხადით კოოპერაციაში ყველა მოქალაქეთა ჩაწერაზე, ჩვენ მოგვიხდებოდა ხელ-ახლად ლაპარაკი კონფერენციაზედაც და პარტიულ ყრილობაზედაც იმის შესახებ, როგორ უნდა დავიპყროთ კოოპერაცია? ჩვენ მოგვიხდებოდა იმ მუშაობის ხელმეორედ შესრულება, რომლის გაკეთებას ფიქრობს ეხლა ამხ. ოსინსკი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართ, რომლის გაკეთებას ფიქრობს პარტია სამრეწველო კოოპერაციის მიმართ მომხმარებელთა კოოპერაციაში—ცენტრში და ადგილობრივად საგუბერნიო კავშირებში—ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავატაროთ კოოპერატიულ მუშაობაში აქტიურობის მაქსიმუმი და რამდენად ძვირი იქნება, იმდენად მეტი უნდა იყოს ეს მუშაობა, რომ ნამდვილად ხელში ჩავიგდოთ კოოპერატიული აპარატი. ჩვენ გვყავს მომხმარებელთა კოოპერაციაში არა მარტო ისინი, რომელნიც ჩვენთან შეთანხმებით მუშაობენ, არამედ ისინიც, რომელნიც უეჭველია უცდიან მომენტს, რომ დაიწყონ თავისი სამტრო მოქმედებანი. ეხლა, როცა კოოპერაცია არა მარტო სავალდებულოა, არამედ მთლიანიც არის, როცა პროფკავშირები საგუბერნიო, მუშათა კოოპერატივებთან და ცენტრ მუშკოპებთან ერთად, იღებენ მონაწილეობას არჩევნებშიდაც და ფაქტიურად ეხლა აწარმოებენ მთელ მუშაობას, ამ პირობებში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პროფკავშირების გავლენაზე, გვაქვს რა უკვე გარკვეული შედეგი. იმ მომენტიდან კი, კოოპერაციაში სავალდებულო ჩაწერაზე ჩვენ ხელს ავიღებთ, ჩვენ დავკარგავთ კოოპერაციას. რასაკვირველია, საჩქაროდ დაარსებენ ჩვენს სამტრო უჯრედებს (ячейки), ამხანაგობებს და მსხვილ მოვაჭრეთა უჯრედებს, რომელნიც გაგვგლეჯენ ჩვენ მომხმარებელთა კოოპერაციისაგან.

მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სავალდებულო ჩაწერა არ არის იძულებითი აქტი. ეს ესმით დასავლეთ ევროპის კოოპერატორებსაც, ეს იყო გაშუქებული ბადენის კონგრესის მიერაც. იძულების მთავარი პრინციპი არის საწევრო გადასახადი. 7 აპრილის დეკრეტით ჩვენ ვაძლევთ მხოლოდ უფლებას შესატანი ფულის აღდგენისა, მაგრამ არ არის ეს სავალდებულო, იცით თქვენ რა გზით გვებრძოდნენ ჩვენ მუშებს, ყველა უწინდელი კოოპერატორები, რომელნიც ეხლა საბჭოთა ხელისუფლების მტრები არიან? ისინი ყოველთვის აწესებდნენ ისეთ საწევრო გადასახადებს, რომ მხოლოდ მოვაჭრე ელემენტებს შეეძლოთ ამ კოოპერაციაში შესვლა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ არ დავრჩებით უკოოპერაციოთ, მაგრამ იმ მომენტიდან, როცა ნებაყოფლობას გავატარებთ, ჩვენ უნდა გა-

ლი ჩვენს მეგობრულ კავშირს, მან არ უნდა გაგვთიშოს ჩვენ. დაკვირვებით ვარკვევდით თანამედროვე საერთაშორისო პირობებში ჩვენი და ოსმალეთის მდგომარეობას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას იმავე იმპერიალიზმთან თავის ეროვნულ განთავისუფლებისათვის, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდიოდით, რომ ჩვენი კავშირი არამც თუ საჭიროა, არამედ ისტორიულად აუცილებელიც.

აი რატომ გადავწყვიტე უბრალოდ და აშკარად დამესვა ყველა საკითხები ოსმალეთის მთავრობის წინაშე. არა დიპლომატის ენით, რომელსაც მე არ წარმოვადგენ, არამედ მეგობრის და რევოლიუციონერის ენით,—გადმოშლა მის წინაშე ყველა ეჭვისა, რომელიც ჩვენ გვთიშავს.

ამის მიხედვით მთელი, ჩემი მოგზაურობის დროს ოსმალეთში მრავალრიცხოვან ოფიციალურ და არაოფიციალურ საუბრებში ოსმალეთის ხალხის სხვადასხვა წარმომადგენლებთან მე ვცდილობდი გამომენახა მიზეზთა ფესვი, რომელნიც ქმნიდნენ არამეგობრულ განწყობილებას.

მე, როგორც არა მტრულ რესპუბლიკის წარმომადგენელს, ფრიად კარგად შემხვდნენ. მაგრამ მე არ ვამჩნევდი გულითად დამოკიდებულებას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიარეთ ყველა რაიონები და სისტემატიურად და გეგმაშეწონილად ვეწეოდით საუბრებს ოფიციალურ და არაოფიციალურ პირებთან და შევძელით გამორკვევა, რომ ყველა ეჭვებზე მოგვეპოვება სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხები, უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა.

ანგორაში ჩვენ შეგვხვდნენ არა მტრულად, მტრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ ფრთხილად კი. და იქ მრავალრიცხოვანი საუბრების შემდეგ მთავრობის წევრებთან, დიდი ეროვნული კრების დელეგატებთან, პრესის წარმომადგენლებთან და სხვებთან, გამოირკვა, რომ ყველაფერი, რაც იწვევდა ეჭვებს ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებაში, წარმოადგენს საპნის ბუშტს ფხიზელი რეალურ კრიტიკის წინაშე.

ბოლოს და ბოლოს შეიქმნა ისეთი დამოკიდებულება, რომლისთანა არ გაგონილა დიპლომატიის ისტორიაში. ჩვენი კავშირი ჩამოვაყალიბეთ სამი დღის განმავლობაში, ეს ვადაც დაგვჭირდა მხოლოდ და მარტო აქტის შედგენის და ხელმოწერის ტეხნიკისათვის. მისი მთავარი შინაარსი მიღებულ იქნა ნახევარ საათიან საუბარში. მაგრამ ამისათვის მე დამჭირდა მთელი კვირეების დაკარგვა ურთიერთობის გამოსარკვევად ოსმალეთსა და საბჭოთა რესპუბლიკების მთელ ოჯახ შორის.

კავშირის აქტს, რომელიც ჩვენ დავდევით ოსმალეთთან, აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ ამას გარდა ჩვენი ურთიერთი სიახლოვე დადასტურებულ იქნა მთელი რიგი სხვა ფაქტებით. მე, მაგალითად, როგორც წითელ არმიის ერთ-ერთ სარდალს, აღმომიჩინეს უდიდესი სამხედრო ნდობა, აგრეთვე არ გაგონილი საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, მე ნამდვილად დავინახე ყველაფერი. ვიყავი ფრონტზე, ზურგში, მომეცა სრული შესაძლებლობა ვრცლად გავცნობოდი ოსმალეთის სამხედრო მდგომარეობას. და ახლა სამხედრო მხრივ მე არა ნაკლებად ვიცნობ ოსმალეთს, ვინემ, ვთქვათ, უკრაინის და ყირიმის ჯარებს, რომლებსაც მე ვსარდლობ.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ არსებობენ ობიექტიური მიზეზები, რომელნიც გვიახლოვებენ ჩვენ ოსმალეთს, აგრეთვე აღმოსავლეთის ყველა ხალხებს. აღმოსავლეთის ხალხებმა იციან, რომ მხოლოდ რუსეთი, და სახელდობრ საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს ერთად-ერთ მოკავშირეს მათ ბრძოლაში ეროვნულ განთავისუფლებისათვის. ყოველგვარი სხვა მთავრობა რუსეთში აუცილებლად გაატარებს იმპერიალისტურ პოლიტიკას, წაიწევს სამხრეთისაკენ, ოსმალეთის წინააღმდეგ. და ოსმალეთის ხალხს, განდევნილს ევროპიდან, მოკლებულს თავის დედა-ქალაქს, მოკლებულს დასავლეთ ანატოლიის უმდიდრეს რაიონებს, მომწყვდეულს მთლიან ადგილებში, დევნილს იმპერიალისტების მიერ, მომაკვდავი საშიშროების წინაშე მდგარს, მშვენივრად ესმის, რომ მას შეუძლია დახმარებას მხოლოდ ჩრდილოეთიდან მოელოდეს...

აი რატომ არ იყო ძნელი შეთანხმება. საქმე დამოკიდებული იყო მხოლოდ ჩვენს თაოსნობაზე; რომ კავშირის მიმოსვლის ტეხნიკა უკეთესი იყოს; მიზეზები, რომელნიც სთესდნენ ჩვენს შორის გაუგებრობას, თავის თავად გაქრებოდნენ.

არც კავკასიას, არც საბჭოთა რუსეთს არ უნდა ეშინოდეს რაიმე თავდასხმისა ოსმალეთის მხრიდან. მე მეტს ვიტყვი,—ოსმალეთის არც ერთ მთავრობას არ შეუძლია აიძულოს თავისი ხალხი ეს მოიმოქმედოს. მე გავიარე ათასი ვერსი ანატოლიით, სულ ცხენით, არა ერთჯერ ვესაუბრებოდი ოსმალო გლეხებს, და დავრწმუნდი მათ უღრეს სიმპატიაში რუსეთისადმი. ოსმალები ათასობით, სამხედრო ტყვეების სახით, იყვნენ რუსეთში, ისინი გაეცნენ რუსეთის ყოფ. იმპერიის მშრომელ ნაწილს, ყველა ისინი ცოტათი ლაპარაკობენ რუსულად და ახლა წარმოადგენენ რუსეთისადმი სიმპატიის საუკეთესო გამტარებლებს. თვით მუსტაფა-ქემალმა ჩემთან საუბარში თქვა: „თქვენ იმოგზაურეთ ოსმალეთში, დაინახეთ ჩვენი ხალხი, —სთქვით, შეუძლია თუ არა რომელიმე მთავრობას აიძულოს იგი თქვენთან საბრძოლველად?..

რაც შეეხება ოსმალეთის მდგომარეობას, ის ფრიად მძიმეა. ყველგან ჩვენ წინაშე იშლებოდა განადგურების და გაპარტახების სურათი. ხალხი უფრო მეტადაა დაღლილი და დატანჯული, ვინემ ჩვენში. ოსმალეთი უკვე 15 წელიწადია აწარმოებს ომს სხვა და სხვა ფრონტზე, და მისი სიმძიმე უმთავრესად აწვება ანატოლიის გლეხობას; ქრისტიანები არ იხდიდნენ სამხედრო ბეგარას; ქურთების, არაბების და სხვა ხალხების გამოყენება, როგორც საომარი მასალის სხვა და სხვა მიზეზებით არ შეიძლებოდა საკმაო მასშტაბით; მე მაწვდიდნენ შემდეგ ციფრებს: სოფელმა ანატოლიაში, შემდგარმა 70 მეკომურიდან, მისცა იმპერიალისტური ომისათვის 117 მამაკაცი, მათგანი გადარჩა მხოლოდ 16, ხოლო წაყვანილია ფრონტზე, გარდა ამ 16-სა, კიდევ 20. სოფლად დარჩნენ მარტო ქალები, ბავშვები და მოხუცებულნი.

აქედან ადვილია ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა: მაშასადამე ოსმალეთს არ შეუძლია შემდგომში ბრძოლის გაგრძელება? ეს დასკვნა დიდი შეცდომა იქნებოდა. სოფლად დარჩენილების განწყობილება მტკიცეა. მოსახლეობა უდრტვინველად და თითქმის მზად ყოფნით ასრულებს ყველა მძიმე ბეგარას იმიტომ, რომ მშვენივრად ესმის ბრძოლის მაღალი და სამართლიანი მიზნები. ფართე აგიტაცია, რომელსაც ეწევიან დიდი ეროვნულიკრების წევრები, ხელს უწყობს ამას, ხალხს ესმის, რომ თუ იგი დამარცხდება, ბოლო მოეღება მის ეროვნულ თავისუფლებას.

ამ მხრივ საუკეთესო აგიტაცია,—ლტოლვილთა ტალღებია ბრუსისა და სმირნას ვილაეტებიდან. საბერძნეთის მთავრობა აწარმოებს თავის პოლიტიკას ისე, რომ პლებისციტის მომენტისათვის ამ ვილაეტებში სრულებით არ დარჩეს ოსმალოს მოსახლეობა. თქვენთვის, კავკასიაში უფრო გასაგებია ნაციონალისტური ბრძოლის საშინელი სურათები. მე კი, თუმცა ბევრი რამ მინახავს, მაგრამ არ მინდოდა დაჯერება ამ ბრძოლის იმ ველურ ფორმებისა, რომლებიც მე ვნახე. ისინი არწმუნებენ ოსმალეთის ხალხს, რომ არ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა სამხედრო გამარჯვებისა.

ხალხის მასების ეს განწყობილება ედება ჯარსაც. რომ შესაძლებელი იყოს ოსმალეთის ჯარის მომარაგების მოწყობა,—იგი ბევრი ხანია გადაჭრიდა თავის სამხედრო ამოცანას. მე პირდაპირ მაოცებს ოსმალო ასკერის გმირობა. შესძლებს თუ არა არმია, და რა ხნის განმავლობაში, გადასწყვიტოს თავისი ამოცანა,—მე მეძნელება ამის თქმა. თუ ვიმსჯელებთ მისი ნივთიერი მდგომარეობის მიხედვით,—არა. თუ გავითვალისწინეთ მორალური ფაქტორები, უნდა გავცეთ დადებითი პასუხი.

ოსმალეთის არმია მოწყობილია, მაგარია, მძლავრია სულით. მოსახლეობამ ფრონტს შესწირა მთელი თავისი ძალები. კავკასიის რესპუბლიკების საზღვარზე დაბანაკებულია ჯარების მინიმალური რაოდენობა,—იმდენი, რამდენიც საჭიროა შინაგანი წესრიგის დასაცავად. მე ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რათა დაგანახვოთ რომ თქვენს მშვიდობიან შრომას სამხრეთიდან არავითარი საფრთხე არ მოელის...

ახლა—ოსმალეთის მთავრობის ამოცანებზე. მაგრამ ჯერ რამოდენიმე სიტყვა იმაზე, თუ როგორ შესდგა იგი და რას წარმოადგენს.

ანტანტასთან ზავის თანახმად, ოსმალეთი უნდა განიარაღებულიყო, დაეთმო მთელი რიგი პროვინციები და სხვა. მაგრამ მალე გამარჯვებულთა მხრით აბუჩად აგდების ფაქტებმა მთელი ქვეყანა აალელვეს. ინგლისელებმა დაშალეს ოსმალეთის პარლამენტი, და დეპუტატების ნაწილი გადაასახლეს კუნძულ მალტაში. ინგლისელები იწყებენ ანატოლიის უმდიდრესი რაიონების დაკავებას, მაგრამ ვინაიდან საკმაო ძალები არ გააჩნიათ, სმირნის ვილაეტში ბერძნულ ჯარებს უშვებენ. ესენი მაშინათვე იჩენენ უდიდეს სიმხეცეს. მე ჩამოვიტანე რამოდენიმე წიგნი ოსმალურ და ინგლისურ ენებზე. უკანასკნელი შედეგია ბერძნების სიმხეცეთა გამოკვლევისა საგანგებო კომისიის მიერ რომელიც შესდგა ინგლისის უმაღლესი კომისრის თაოსნობით.

ბერძენთა სიმხეცის შესახებ ცნობებმა ფეხზე დააყენა ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა. ანატოლიაში იყრიან თავს ჯგუფები, ანტანტასთან შეურიგებელი ბრძოლის მომხრენი, და მათი ენერგიული მეცადინეობის შედეგად ძალიან მალე გაჩნდა ის, რასაც ამ ჟამათ ვიცნობთ ჩვენ ოსმალეთის ანატოლიის სახელით. მანამდე ანატოლიაში არ ყოფილა, არავითარი ადმინისტრატიული აპარატი. ეხლა ყველაფერი არის. დიდი ეროვნული კრების მთავრობა დიდი პოპულიაროზით სარგებლობს ქვეყანაში.

ჩვენი, ჩრდილოელი თვალსაზრისით, ანატოლიის სახელმწიფოებრივი აპარატი დემოკრატიულიც არ არის, მაგრამ ოსმალეთის ძველ წესწყობილებასთან შედარებით მოხდა უდიდესი გადატრიალება. თვით მუსტაფა ქემალმა ასე განაცხადა ერთ თავის პოლიტიკურ სიტყვაში.

„ის აპარატი, რომელსაც ჩვენ ვქმნით, არ არი სრული, მაგრამ ის არც დასავლეთ ევროპიულია, პარლამენტერული; ჩვენ ვაშენებთ ჩვენს, ოსმალურ აპარატს“.

დიდი ეროვნული კრება წარმოადგენს ერთ და იმავე დროს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოსაც, ამაში თითქო დიდი მსგავსებაა ჩვენს სისტემასთან. დ. ე. კ. შემადგენლობა და მისი შედგენის წესები არ არი დამყარებული სწორ საარჩევნო სისტემის საფუძველზე. დ. ე. კრება შეიქმნა ისტორიულად, სტიქიურად, ელემენტებიდან, რომელნიც თანდათან იყრიდნენ თავს ანგორაში. აქ არიან ხალხის არჩეულნიც, პარლამენტის ყოფილი წევრებიც, თავისუფლად დატოვებულნი და მალტიდან გამოქცეულნი.

სოციალური შემადგენლობით დ. ე. კრების უმრავლესობას არ შეადგენდნენ მუშები და გლეხები. ანატოლიაში არ არი მრეწველობა, არ არი მაშასადამე ფაბრიკა-ქარხნის პროლეტარიატი. დ. ერ. კრებაში არის სტამბოლის მუშების მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. 350 დეპუტატიდან მხოლოდ 70-ია გლეხობის წარმომადგენელი, წვრილი ვაჭრების ჩათვლით დანარჩენები მოსამსახურე ხალხია, მოხელეები, ოფიცრები, პროფესიონალური პოლიტიკოსები-იურისტები, სამღვდელოება.

პოლიტიკურ შეჯგუფებას არ აქვს ადგილი. არის ერთი დიდი ჯგუფი, გაერთიანებული თითქო ნაციონალურ ბლოკში ერთი მიზნით: ოსმალეთის ტერიტორიის გაწმენდა იმპერიალისტებისაგან. ამ საერთო საშიშროების წინაშე ყველა ჯგუფებმა დროებით განზე გადასდვეს ყველაფერი ის, რასაც შეეძლია მათი გათიშვა.

ადგილობრივად დიდი ეროვნული კრება ემყარება „მუტაფთა და ხუჯუკ“-ს—უფლებათა დაცვის კომიტეტებს.

ოსმალეთი—მხოლოდ და მარტო გლეხური ქვეყანაა. იქ არ არი ბურჟუაზია, როგორც კლასი, რომელსაც შესწევს უნარი ძალა უფლება აიღოს ხელში. ამიტომაც პარტია იქ იქმნება ისეთი, რომელმაც უნდა გამოხატოს ფართე გლეხური მასსის ინტერესები. ჯერჯერობით ამ პარტიას არა აქვს არც პროგრამა, არც ფორმალური ორგანიზაცია.

თვით მუსტაფა-ქემალი და მთავრობის წევრები ამ პარტიის მომხრეებია. ადგილობრივად სახელმწიფოებრივი აპარატი იქმნება ჩვენი მსგავსად,—რაღაც საბჭოების, აღმასკომების მსგავსი, მაგრამ მხოლოდ თავმჯდომარეებს ამტკიცებენ იქ ზევიდან და საარჩევნო უფლება ვრცელდება ყველაზე.

ერთი სიტყვით,—თანამედროვე ოსმალეთი,—ჩვენდამი მტრულად არ არი განწყობილი—მხოლოდ თუ ჩვენ შევძლებთ გავითვალისწინოთ მისი ვითარების მთელი სირთულე,—ჩვენი დაახლოვების საკითხი გადაიჭრება ორივე მხარის ხალხების საკეთილდღეოდ. ინგლისელებთან მოლაპარაკებამ ოსმალეთი კვლავ დაარწმუნა, რომ ის არაფერ კარგს არ უნდა მოელოდეს დასავლეთიდან. ოსმალეთის ხალხის სიმპატიები სავსებით ჩვენს მხარეზეა. ეს სჩანს თუნდაც იმ შემთხვევიდან, როგორიც გაუმართეს რ. ს. ს. ფ. რ. ახალ წარმომადგენელს ამხ. არალოვს, რომელიც მიემგზავრებოდა ანგორაში, როცა მე აქეთ ვბრუნდებოდი.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გავაძლიეროთ ჩვენი კულტურული და ეკონომიური კავშირი. ბევრის მიცემა ამ ჟამად არც ჩვენ, არც ოსმალეთს არ შევვიძლია,—მაგრამ ცოტა რამის გაკეთება მაინც შესაძლებელია. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, ოსმალეთისათვის გავაღოთ ჩვენი სასწავლებლების, განსაკუთრებით ტეხნიკუმების, აგრეთვე სამხედრო სკოლების კარები. ეს მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ პერსპექტივები ჩვენ წინაშე თვალუწვდენელია.

ჩვენი დაახლოვების ამოცანა ღრმად აინტერესებს ოსმალეთის მმართველ წრეებს. იქ კომისიაც კია დაარსებული ამ სფეროში ყველა ღონისძიებათა პრაქტიკულ განსახორციელებლად.

პოლიტიკურ იდეათა სფეროში იქ აყენებენ, იმპერიალისტური ანტანტის საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთის ხალხების რუსეთთან ანტანტის პროექტს. ეს საკითხი არა ერთჯერ ირჩეოდა ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ თათბირებზე.

პირადად მუსტაფა-ქემალი სარგებლობს ფართე პოპულიარობით მოსახლეობის ფრიად სხვა და სხვა წრეებში. ეს პოპულიარობა ემყარება იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც იგი ასრულებს როგორც არმიის სარდალი, და როგორც სახელმწიფოებრივი აპარატის მშენებელი, იგი უბრალოდ ეპყრობა ყველას.

თავისი პოლიტიკური მისწრაფებებით მუსტაფა-ქემალი არა ჩვენი, საბჭოთა კაცია. არა კომუნისტია, იგულისხმება. თუმცა მისი საკუთარი განცხადებით, იგი არ არი კომუნიზმის წინააღმდეგი, მიაჩნია ის იდეალურ წყობილებად, და რომ ოსმალეთში იყოს ისეთივე პირობები, როგორც რუსეთში, რომ შესაძლებელი იყოს რამეზე დაყრდნობა ოსმალეთში,—იგი გაატარებდა მას, ჯერჯერობით კი იგი ცდილობს გაატაროს თავისი ღონისძიებები იმ გვარად, რომ შრომის ძალა-უფლება თანდათან განმტკიცდეს.

მუსტაფა-ქემალი არ ისწრაფვის ერთპიროვნულ ხელისუფლებისაკენ. იგი წარჩინებული პირია, მაგრამ არა კანდიდატი სულთანობაზე, არამედ უფრო წინამძღოლია ფართე ხალხურ მოძრაობისა.

ყველა სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი ტარდება დიდი ეროვნული კრების სახელით.

განსაკუთრებული ილიუზიების შეუქმნელად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს არა აბსოლიუტისტურ მთავრობასთან, არამედ ისეთთან, რომელსაც შეუძლია დემოკრატიზმის გზით იაროს.

რეალურად ვაქციოთ ჩვენი კავშირი ოსმალეთთან,—ასეთი ამოცანა სდგას ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე. მისი გადაჭრა განამტკიცებს ჩვენს პოზიციებსაც, დიდი ეროვნულ კრების პოზიციებსაც.

ვათავებ რა მოხსენებას, მე მოგმართავთ თქვენ, თბილისის საბჭოს, რომელიც გამოხატავს მთელი საქართველოს ნებისყოფას,—მოწოდებით აილოთ თაოსნობა ოსმალეთთან მეგობრულ ურთიერთობის [illegible] ბის საქმეში. [illegible] განსაკუთრებით საჭიროა ამ საქმის შესრულება.

ჩვენ იდეალისტები არა ვართ, ჩვენ მშვენივრათ გვესმის, რომ ისტორიის მემკვიდრეობის ერთბაშად დაძლევა, მოშორება შეუძლებელია. ამიტომ თბილისის საბჭომ საქართველოს მუშებს და გლეხებს უნდა ამცნოს: „სამხრეთიდან თავდასხმას არ უნდა მოველოდეთ, ჩვენ ოსმალეთთან ერთად გვყავს საერთო მტერი“ (მხურვალე ტაში)

### შეკითხვები მომხსენებელს.

ამხ. ფრუნზეს მოუდის მრავალი ბარათი—შეკითხვა კრების მონაწილეთაგან, რომლებზედაც იგი ამომწურავს პასუხებს აძლევს.

სხვათა შორის იგი აუწყებს კრებას, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე ამ ჟამად სიწყნარეა, და რომ საომარ მოქმედების გამოცხოველება არაა მოსალოდნელი გაზაფხულზე უფრო ადრე.

### ამხ. ელიავას სიტყვა.

ამხ. ელიავას შემოაქვს რეზოლიუცია, რომელსაც ასე ასაბუთებს:

საერთაშორისო რევოლიუციის პირობებში ანატოლიის ოსმალეთის საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების და ოსმალეთის ბრძოლის პოლიტიკური ამოცანები ერთმანეთს ხვდებიან. მშრომელთა სოციალისტური განთავისუფლება და დაჩაგრულ ხალხების ეროვნული განთავისუფლება—ეს ორი ნაკადი, უნდა სცემდნენ ერთ წერტილს,—და დარაზმულ იმპერიალიზმს.

რეზოლიუცია უნდა იყოს დირექტივი ჩვენს პოლიტიკაში ოსმალეთის მიმართ.

დასასრულ ამხ. ელიავა წინადადებას იძლევა მიესალმონ ოსმალეთის ხალხს, რომელიც გმირულად ებრძვის მსოფლიო იმპერიალიზმს.

ყველანი დგებიან და მხურვალე ოვაციას უმართავენ ანგორის მთავრობის წარმომადგენელს ბ. მუხტარბეის.

წამოყენებული რეზოლიუცია მიიღეს ერთხმად.

სხდომა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

---

მოვყოთ, როგორც წინადაც, მუშათა კოოპერაცია და მხოლოდ ამ მუშათა კოოპერაციას დავემყაროთ. ჩვენ ამ ჟამათ გვყავს ნებაყოფლობითი კოოპერაციის მომხრენი. მაგრამ თუ ჩვენ ანალიზს გაუკეთებთ, საიდან გამოდის ეს, დავინახავთ, რომ ნებაყოფლობის მომხრენი არიან ისეთ ქალაქებში, როგორც მოსკოვი, პეტერბურგი, ივანოვო და სხვანი არიან, სადაც როგორც ნებაყოფლობის ისე სავალდებულო ჩაწერის დროსაც უმეტესობა მუშებისაკენ იქნება, ე. ი. კომუნისტებისაკენ. ან ისეთ ადგილებში, სადაც ეხლა უმეტესობა მენშევიკების და ესერების მხარეზე არის; ეს არის ნოვგოროდი და სმოლენსკი. იქ, თუმცა ეს საკვირველია, მაგრამ კომუნისტები იმყოფებიან იმ მენშევიკების და ესერების გავლენის ქვეშ, რომელნიც მუშაობენ ჩვენთან კოოპერაციაში. მე ვაძლევ განსაკუთრებულ დიდ მნიშვნელობას ამ საკითხს და ვამტკიცებ, რომ თუ ეხლა არ გავამაგრებთ სავალდებულო ჩაწერის თვალსაზრისს, მაშინ უკვე მეტი იქნება ლაპარაკი, არა მარტო იმის შესახებ, რომ ჩვენ ვიდგეთ თავისუფალ ბაზრის სათავეში, არამედ იმის შესახებაც, შევსძლებთ თუ არა ამ ბაზრის კუდში ჩაჩხალს მაინც. მე-2 კითხვაა, ჩვენთვის რომელი მათგანი განსაკუთრებითი მნიშვნელოვანია, ეს არის საკითხი კოოპერაციის სხვა სახეებთან ურთიერთობისა. მომხმარებელთა კოოპერაციის ყრილობაზე ჩვენ ვთვლით აუცილებლად, დავამყაროთ კოოპერაციის სხვა სახეებთან ჩვენი დამოკიდებულებანი მხოლოდ საქმიან საფუძვლებზე. ჩვენ მუდამ გვქონდა დავა იმის შესახებ თუ რომელ ხაზით მოგვეწყო საზოგადოთ კოოპერაცია: ინტეგრაციისა თუ სხვა ხაზით უწინდელ დროში ეს დავა არ იყო გადაჭრილი, მაგრამ ცალკე ადგილებში, კერძოთ, ჩრდილოეთ რუსეთში, ვოლოგდის, არხანგელსკის გუბ. და ციმბირში, ეს კითხვა გადაიჭრა ინტეგრაციის სასარგებლოთ. ციმბირში იყო სამი ორგანიზაცია: კარაქის საკეთებელ არტელების კავშირი, საკრედიტო კოოპერაცია და, ბოლოს მომხმარებელთა კოოპერაცია, არა წმინდა სახის, არამედ საწარმოო ფუნქციებით. და ყველა ეს სამი ორგანიზაცია იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ აუცილებელია კოოპერაციის ყველა არსებობა. დავა იყო მხოლოდ იმის შესახებ, ვინ უნდა იდგეს სათავეში. და ეხლა არ უნდა მოხდეს ძალდატანებითი გაერთიანება. მაგრამ იქ, სადაც არის კოოპერაციის აშენების ტენდენცია ინტეგრალურ წესით მომხმარებელთა კოოპერაციის გარშემო, ამას ხელი არ უნდა შეეშალოს.

ჩვენ კომუნისტები, რომელნიც ვმუშაობთ მომხმარებელთა კოოპერაციაში, მოვითხოვთ ყურადღებით მოპყრობას საალმშენებლო კოოპერაციის მიმართ და მოვითხოვთ იმას, რომ ნამდვილათ იქნეს გამომჟღავნებული მაქსიმალური აქტიობა. რამდენად ძირს იმყოფება უჯრედი, რამდენად შორს მივდივართ პერიფერიისაკენ, მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის კომუნისტურ ელემენტის მონაწილეობა. ჩვენ—კი არ უნდა მოვხსნათ კომუნისტები მუშაობისაგან, როგორც ეს ერთავად არის მიღებული, პირიქით, უნდა გავგზავნოთ ისინი იქ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ გაძლიერებული და არა შესუსტებული კომპანია კოოპერაციის საფინანსო რესურსების გასაფართოვებლათ. და მაშინ ჩვენ არ ვიქნებით მომხმარებელთა კოოპერაციას თავისუფალ ბაზრის კუდში.

მე უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება: სექტემბერში განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ოქტომბერში და ნოემბრის მეორე ნახევარში იყო მტკიცე ფასები პურზე, ეს იყო სწორედ მომხმარებელი კოოპერაციის გაძლიერებული მუშაობის დრო. მხოლოდ ნოემბრის მეორე ნახევარში აიწია პურის ფასმა. საბჭოთა ყრილობაზე იქნება ჩვენი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია დენომინაციამ და, ამას გარდა ერთის მხრით ბაზრის საქონლით თანდათანობითი გავსებამ და, მეორეს მხრივ, საქონლის ფაქტიურ ღირებულების თანდათანობითი შემცირებამ. როცა ჩვენ ვიღებთ ამ ჟამათ მომარაგებისათვის ფულს და, რაც შეუძლებელია მათი ამუშავება, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დღითი დღე მანეთის ფასი ეცემა. ჩვენ უნდა დაუყოვნებლივ შევიძინოთ ამ ფულებით საქონელი, რომ ეს საქონელი დავგზავნოთ ადგილებზე სადაც არის მოთხოვნილება.

აი ის ძირითადი დებულებანი, რომელთა აღნიშნას მე ვსთვლიდი აუცილებლად. საქონლის გაცვლა, როგორც ასეთი რასაკვირველია ჩაიფუშა. ჩვენ დავადექით ამ ჟამათ ყიდვა-გაყიდვის გზას. ჩვენ ეხლა ანგარიში უნდა გაუწიოთ ბაზრის ყველა კანონებს, მოთხოვნილებას, მიწოდებას და სხვ. ჩვენს წინაშე სდგას მთელი მომხმარებელთა კოოპერაციის საორგანიზაციო აღმშენებლობის წესიერად გადაჭრის საკითხი, ვინაიდან თუ ეხლა აქ დაუშვით შეცდომა, მაშინ საჭირო იქნება მთელი წლები, რომ ჩვენი შეცდომები გავასწოროთ.

---

**სარედაქციო კოლეგია.**


მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

**ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.**

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებ ბის მიღ ბა სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

მიიღება ხელის მოწერა 1922 წლისათვის, გაზეთ

„მიწის მუშა“-ზე

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ: ორშაბათ-ხუთშაბათობით. თვეში ღირს 40,000 მანეთი, ფულის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებს გაზეთი დაეთმობათ 30,000 მანეთათ თვეში.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19, „მიწის მუშას“. 2—5


## განათლების მუშაკთა ყრილობა

28 იანვარს თბილისში მოწვეულია სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმა: ყოველი 50—ირჩევს ერთ დელეგატს, ამ რიცხვის ნახევარზე მეტს რჩება უფლება იყოლიოს ერთი წარმომადგენელი. არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე. წარმომადგენლობის ნორმა: 10—1 დელეგატს, ამ რიცხვის ნახევარზე მეტი გზავნის მაინც ერთ წარმომადგენელს. ყრილობის დღის წეს რიგი:

1. მიმდინარე მომენტი,
2. განათლების და ხელოვნების ც. გ. მოხსენებანი,
3. სარევიზიო კომისიების მოხსენებანი,
4. კავშირების საწარმოო და საგანმანათლებლო მიზნები,
5. განათლების კომისარიატის მოხსენება,
6. კავშირების საორგანიზაციო ამოცანები,
7. კავშირების სატარიფო პოლიტიკა,
8. წითელი პროფინტერნაციონალი,
9. გამგეობის არჩევნები,
10. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

**საორგანიზაციო ბიურო.**

### პარტიული.

სამშაბათს 24 იანვარს საღამოს 5 საათზედ, კავშირის ბინაზე მე 4 სართული ოთახი № 65 მოწვეულია საბჭოთა მოსამსახურეების ფრაქციის სხდომა. ყველა ამხანაგები ჩვენი კავშირის წევრნი (თბილისში) ვალდებულნი არიან გამოცხადდ 5 სხდომაზედ.

**ფრაქციის ბიურო.**

ტირაჟი 10,000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა [illegible]